# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 174 (6032)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ნატო შანსს გვაძლევს 4



## ომის დაწყების დროს კეზერაშვილი „თვითდათხოვნაში“ იყო, ჯარისკაცებს კი ამისთვის ასამართლებენ 11

## სალომე ზურაბიშვილს 2 ნატოს ოთხი ელჩი ეცოტავა





## ერთხელ გასაჭრელი 3 შვიდჯერ კი არა, ასჯერ უნდა გაიზომოს!..



## „კოდორში ახლაც 7 ჩემი სახლია, თამარაშენში – ჩემი სახნისი“



## 6 ჭიჩ-ვაჩამით დახუნძლული ხეობა





## 8 ვინ მართავს რუსეთს?

◉ დიდი სტუმრობა

## იაპ დე ჰოოპ სხეფერი: რუსეთისთვის სასჯელი იქნება, რომ საქართველომ გზა გააგრძელოს მომავლისკენ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

**ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა და ქართველ სტუდენტებთან დისკუსია გამართა.**

როგორც სიტყვით გამოსვლისას უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ აღნიშნა, სხეფერი უკვე მესამედ სტუმრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და როგორც რექტორი, ბედნიერია, რომ თავად მოუწია მასპინძლობა.

რაც შეეხება სტუდენტებს, ხუბუამ აღნიშნა, რომ ქართველ სტუდენტებს აქვთ არჩევანი და ეს არჩევანი ეხება ნატოსთან ინტეგრაციას.

თავად სხეფერმა აღნიშნა, რომ უკვე მესამედ არის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობისთანავე კიდევ ეწვევა სტუდენტებს.

— 2007 წლის შემოდგომაზე ვიყავი საქართველოში ბოლოს და მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთ პატარა და ლამაზ ქვეყანაში ასეთი მძიმე მოვლენები განვითარდებოდა. აქ მარტო არ ჩამოვსულვარ, აქ არის ნატოს წევრი ქვეყნების 26 ელჩი, რაც არის ალიანსის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, — განაცხადა სხეფერმა.

მისივე თქმით, ნატო საქართველოსთან დგას დღეს და ასე გაგრძელდება მომავალშიც. რუსეთისთვის სასჯელი იქნება, რომ საქართველომ გზა გააგრძელოს მომავლისკენ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

— საქართველო მდებარეობს ამ გეოგრაფიულ არეალზე და მას ვერსად ვერ გადაიტანთ. ამიტომ თქვენს ქვეყანას მოუწევს ურთიერთობა რუსეთთან იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა ქართველებს ამის სურვილი. თქვენ იცით, რომ რუსულმა ეკონომიკამ უკვე განიცადა სერიოზული კრახი. ნახეთ, რა ხდება რუსულ ბირჟაზე და ეს ყველაფერი არის სწორედ ამ ინტერვენციის შედეგი. ასე რომ, რუსეთმა საკმარისი სასჯელი მიიღო, — განაცხადა სხეფერმა.

### „...რათა დავადასტუროთ ჩვენი მხარდაჭერა“

**ჩვენ ჩამოვედით საქართველოში, რათა კიდევ ერთხელ დავადასტუროთ საქართველოს მიმართ ჩვენი მხარდაჭერა. ამის შესახებ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა.**

— ჩვენთვის პატივია, ვიმყოფებოდეთ შენობაში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ „ვარდების რევოლუციის“ ეპიცენტრი იყო. ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვეთანხმებით იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებიც რევოლუციამ მოიტანა, — განაცხადა სხეფერმა.

### რას გვპირდება ნატოს ჩარჩო-ხელშეკრულება

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იმ ჩარჩო-ხელშეკრულების ტექსტს აქვეყნებს, რომელსაც თბილისში ნატოს გენერალურმა მდივანმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოაწერეს ხელი.**

— ნატო-საქართველოს კომისიის შექმნა მიზნად ისახავს, კიდევ ერთხელ დაადასტუროს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა. ალიანსი გამოხატავს შეშფოთებას რუსეთის მოქმედებებზე საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში სამხედრო კონფლიქტის დროს, ასევე, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების გამო, — ნათქვამია ხელშეკრულებაში.

ნატო-საქართველოს კომისიის მიზნები დოკუმენტში ოთხ პუნქტად არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, გააღრმაოს პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა ნატო-საქართველოს შორის ყველა სათანადო დონეზე; გააკონტროლოს ის პროცესი, რომელიც ბუქარესტის სამიტზე იქნა დადგენილი; კოორდინაცია გაუწიოს ალიანსის დახმარებას საქართველოსადმი უკანასკნელი კონფლიქტის შემდეგ; გაამყაროს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც ევროატლანტიკური ინტეგრაციის ასპექტში მიმდინარეობს.

### დაველოდოთ დეკემბერს

**— მაპის მიღება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონფლიქტურ ამ კონტექსტში, არამედ შიდა პროცესების სწორი მიმართულებით წარმართვის მხრივაც, —** განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ნატოს დელეგაციასთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

რაც შეეხება საკითხს, მიანიჭებს თუ არა დეკემბერში ნატო საქართველოს ალიანსში გაწევრების კანდიდატის სტატუსს, ბაქრაძის თქმით, ეს საკითხი ღიაა.

— ერთი მხრივ, არსებობს მკაფიო გაგება ნატოს წევრ ქვეყნებში, რომ უნდა დაჩქარდეს საქართველოს ალიანსში ინტეგრაცია. მეორე მხრივ, არსებობს ის, რაც არსებობდა ყოველთვის — რუსეთის მხრიდან აქტიური მუშაობა საქართველოს წინააღმდეგ, — აღნიშნა ბაქრაძემ.

რუსული აგრესიის ერთ-ერთ მიზანს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, წარმოადგენდა იმის ჩვენება, რომ საქართველოს შესვლა ალიანსში ამ ორგანიზაციის შიგნით არასტაბილურობას გამოიწვევდა.

### მაპის მინიჭებაზე ბუნდოვან პასუხებს იძლევიან

**— შეხვედრა იყო საკმაოდ წარმომადგენლობითი და მნიშვნელოვანი, საუბარი შეეხებოდა ქვეყნისთვის მართლაც აქტუალურ საკითხებს, — განაცხადა დავით გამყრელიძემ „ქორთიარდ მარიოტში“ გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ.**

— ოპოზიციის წარმომადგენლებმა დეტალურად განვუმარტეთ ნატოს წევრებს იმ ვითარების შესახებ, რაც ქვეყანაში არსებობს. ჩვენ გვესმის, რა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის მაპზე გადასვლა და ისიც, რომ მაპი ნატოს წევრობას არ ნიშნავს. თუმცა, ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები უფრო სწრაფად განვითარდეს, ქვეყნის ხელისუფლებაზე განხორციელდეს მეტი მონიტორინგი ნატოს მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიის ხარისხის ამაღლებას, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

რაც შეეხება დეკემბერში საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხს, გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ნატოს წარმომადგენლები თავს იკავებენ ამ საკითხის დაკონკრეტებისგან და საკმაოდ ბუნდოვან პასუხებს იძლევიან.

**ინტერპრესნიუსი**

◉ განსჯა

# ნატო შანსს გვაძლევს

**მიუხედავად რუსეთის აშკარა უკმაყოფილების და პირდაპირი მუქარისა, ნატოს გენერალური მდივანი, იააპ დე ჰოპ სხეფერი მაინც ჩამოვიდა თბილისში — „ნატოს საბჭოს“ გამსვლელ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.**

ეს არ არის „ჩრდილოატლანტიკური კავშირის“ გენერალური მდივნის პირველი ვიზიტი ჩვენს დედაქალაქში. საკმარისია გავიხსენოთ „ნულოვანი წლების“ დასაწყისი და ხავიერ სოლანას სტუმრობა; მაგრამ მიუხედავად პრეზიდენტ შევარდნაძის ხმამაღალი განცხადებისა „2005 წლისთვის ნატოს კარებზე დაკაკუნების“ შესახებ, არ გულისხმობს აპრიორი წევრობას ან თუნდაც წევრობის კანდიდატობას („გზამკვლევის მინიჭებას“ძ, მაგრამ როგორც მინიმუმ გულისხმობს, რომ რუსეთს ნამდვილად არ ექნება „ხელები ხსნილი“ ამ რეგიონში თავისი „პროექტების“ განხორციელებისას;

ცნობილმა ექსპერტმა ნატოს საკითხებში შალვა ფიჩხაძემ „ჯი-ეიჩ-ენ“-ს განუცხადა, რომ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, რუსეთის მოქმედებამ გაზარდა ალბათობა, რომ ნატო დაეთანხმება წინადადებას საქართველოსათვის „საგზაო რუკის“ შემუშავების თაობაზე.



იმ დროს ნატო-საქართველოს თანამშრომლობა რეალურად თავდაცვის მინისტრ დათო თევზაძესა და ხავიერ სოლანას კიუნ-ფუში სპარინგით შემოიფარგლა.

ჰოპ სხეფერის ვიზიტის შედეგად კი იქმნება ნატო-საქართველოს მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო: „ნატო-საქართველოს კომისია“. ამ კომისიის ჩამოყალიბება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ნატო-საქართველოს თანამშრომლობა ახალ რეგისტრში აჰყავს.

აქედან მაინც შორია არათუ წევრობამდე, არამედ „გზამკვლევის“ (მაპისძ მიღებამდეც, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ნატომ პოსტსაბჭოურ სივრცეზე მხოლოდ ორ ქვეყანასთან შექმნა ამგვარი მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო: 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ნატო-რუსეთის საბჭო და ნატო-უკრაინის კომიტეტი.

მივაქციოთ ყურადღება რანგირებას: რუსეთის შემთხვევაში ეს არის საბჭო, უკრაინის შემთხვევაში — კომიტეტი (შედარებით დაბალი რანგის ინსტიტუტი არა იმდენად ფუნქციებით, რამდენადაც პოლიტიკური ჟღერადობითძ, ხოლო საქართველოსთან — კომისია.

ამის მიუხედავად, თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველოს ნატო ამ სივრცეში მესამე სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებს — საყურადღებო გეოპოლიტიკურ რეალობას ქმნის.

ეს იმას ნიშნავს, რომ ნატო ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს ჩვენი ქვეყნის რეალურ უსაფრთხოებას, რაც

მისი თქმით, „ნატო უხალისოდ იღებს იმ ქვეყნებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ მეზობელ ქვეყნებთან ან აწუხებთ გადაუჭრელი კონფლიქტები, მაგრამ რუსეთის ბრიყვულმა ნაბიჯებმა დაადასტურა, რომ საქართველო არის მსხვერპლი, ხოლო რუსეთი — აგრესორი. მსხვერპლის მიმართ კი დამოკიდებულება სხვაა. დეკემბრის მინისტერიალზე რომ წევრობის საკითხი წყდებოდეს, ბუნებრივია, ერთმნიშვნელოვნად ვიტყოდი, რომ წევრობაზე უარს მივიღებდით, მაგრამ „გზამკვლევით“ ნატო არ კისრულობს ერთმნიშვნელოვან ვალდებულებას, რომ აუცილებლად მიგვიღებს ალიანსში, ამიტომ გარკვეული შანსი ნამდვილად არსებობს“, — აცხადებს ფიჩხაძე.

მიუხედავად ამისა, თვით „გზამკვლევის“ მინიჭებასაც რუსეთი ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს. რაკი, მაგალითად, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ კონსტანტინე კოსაჩოვის თქმით, „მაპ-ის მინიჭება ნიშნავს „ბილეთს ერთი მიმართულებით“, ანუ ჯერ არ ყოფილა ისტორიაში შემთხვევა, ქვეყანას მიეღო საგზაო რუკა და ადრე თუ გვიან არ გაწევრებულიყო ნატოში.

შესაბამისად, ბრიუსელში რუსეთის წარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის განცხადებით, თუ დეკემბერში საქართველოს ნატო „გზამკვლევს“ მიანიჭებს, რუსეთი ალიანსთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტს, ხოლო დასავლეთი აღმოჩნდება რუსეთთან ატომური ომის რისკის წინაშე.

იხ. 4 გვ.

◉ პროტესტი

# სალომე ზურაბიშვილს ნატოს ოთხი ელჩი ეცოტავა



ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა პროტესტის ნიშნად დატოვა ნატოს ელჩებთან შეხვედრა.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, ამისთვის რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მათ შორის კი უპირველესი ის იყო, რომ შეხვედრას ესწრება მხოლოდ ნატოს ოთხი ელჩი და არა — თავად სხეფერი.

— სხეფერმა უკვე ორჯერ გამონახა დრო, რათა შეხვედროდა საპარლამენტო ოპოზიციას და პირადად მათგან მოესმინა იმ პრობლემების შესახებ, რაც საქართველოში არსებობს. სხეფერს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია უნივერსიტეტში შეხვედრა, — აღნიშნა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, აპირებდა, სხეფერთან უამრავ მნიშვნელოვან საკითხზე ესაუბრა, მათ შორის ჟენევაში 15 ოქტომბრისთვის დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებითაც.

ზურაბიშვილი აცხადებს, არ სურდა მჯდარიყო და ესაუბრა მხოლოდ ოთხ ელჩთან იმ ფსევდოოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც უკვე შეხვდნენ პარლამენტში ნატოს დელეგაციას.

— სხეფერს არ სურს, მოუსმინოს რეალურ ოპოზიციას, ხოლო საპარლამენტო ოპოზიცია დღეს არის, პრაქტიკულად, იგივე მთავრობის ხალხი. მე საქართველოსათვის ბრძოლაში დავუდგები ყველას, თუნდაც სხეფერს. მას არ სურს მოისმინოს რეალური და ნამდვილი ოპოზიციის მოსაზრება საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. მან არასწორი შეფასება გააკეთა გუშინ, როდესაც ოპოზიციას რადიკალური უწოდა. სინამდვილეში, ჩვენ არ ვართ რადიკალური, ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ უნდა დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან ნამდვილ ოპოზიციასთან, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ თვალსაზრისი

***არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხალხს იმედები გაუცრუა, დაიშალა და პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული, აქტიური საზოგადოებაც დააბნია და დააფიქრა.. დღესაც კი ძნელად პასუხგასაცემია თუ რამდენად გამართლებული იყო ოპოზიციის გაერთიანებული საბჭოდან გამოსული პარტიების ასეთი ქმედება, რადგანაც საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ყოველთვის ანგარიშგასაწევი ხალხი ოპოზიციის გაერთიანებამ თავადაც გააძლიერა და გააერთიანა. თითქოს დაჩქარდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. ხალხში აშკარად შეიმჩნეოდა ეროვნულ თვითშეგნებასთან შერწყმული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნიშნები და ყველაფერი ეს ერთ მშვენიერ დღეს წყალში ჩაიყარა...***



# ერთხელ გასაჭრელი ასჯერ უნდა გაიზომოს!..

მართალია, დიდი ხანი არ გასულა ზემოთ ხსენებული ვითარებებიდან, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, იმ დროსა და დღევანდელობას შორის დიდი ნაპრალი გაჩნდა. დამთავრდა ერთი ეპოქა და იგი უარესმა, საკმაოდ რთულმა და ბუნდოვანმა დრომ შეცვალა. დაიწყო ახალი, რთული, გაუთვალისწინებელი მოვლენებით დატვირთული ეპოქა. ერთი თვეა, რაც ამ ახალ (ამავე დროს ძალიან ძველ, საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელ, ამაზრზენ!..) ეპოქაში ვცხოვრობთ. ნუთუ ჩვენ ისეთივე გულუბრყვილოები და ამავე დროს თვითდაჯერებულები დავრჩით, როგორებიც ამ ერთი თვის წინათ ვიყავით?

პატარა ერების „დამცველი" და ადამიანის უფლებებზე „მზრუნველი" ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი ეიფორიაშია, მან თავისი მიზანი „ბრწყინვალედ" განახორციელა: ქართული მიწებიდან საქართველოს მოქალაქეები ალაგმა და გარუსებულ, რუსეთის სახელმწიფოს პასპორტებით გალაღებულ, ჯიბედამშვენებულ, ვინ იცის საიდან სად გადმოხვეწილ ადამიანებს ეს ჩვენი ნალოლიავები, ათას ცეცხლში და ქარში გამოვლილი სამშობლო დაუნაწილა: იქით აფხაზეთი, აქეთ ქართლი, ანუ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი. ამ უკანასკნელი ტერიტორიების თვითმარქვია, სეპარატისტმა პოლიტიკანებმა ყველაფერი ეს ისე შეიფერეს, ვითომ ვერ ხვდებიან, რომ რუსებმა საქართველოს ტერიტორია დაბომბეს, მრავალი ადამიანი დახოცეს, ათასობით ააწიოკეს, საკუთარი სახლ-კარიდან განდევნეს არა ოსებისა და აფხაზების დაცვისა და კეთილდღეობისთვის, არამედ თავიანთი იმპერიული ზრახვებისთვის. დღემდე ჩვენ გვათამაშებდნენ რუსები, მსოფლიოს გასაგონად და დასანახად „მშვიდობისმყოფელ" ცისფერჩაფხუტიანებს გვიყენებდნენ საზღვრებში. ვითომ მშვიდობას გვიმყარებდნენ, სინამდვილეში საგულდაგულოდ, მაგრამ მსოფლიოსთვის შეფარვით აჩაღებდნენ სეპარატისტულ კერებს... სამწუხაროდ, რუსული პოლიტიკის მზაკვრული ჩანაფიქრი განხორციელებულია, საქართველოს უძველესი ტერიტორიები – მტრის ხელში.

დღეს უმძიმესი სურათი გვაქვს. მდგომარეობის გამოსასწორებელი გზები ძალიან რთული საპოვნია, ძალიან რთული მისაგნები. მტერი გახარებულია. რახან ერთხელ უკვე წამოგვაგო ანკესზე, ახლა იგი გაფაციცებით გვითვალთვალებს, ელოდება ჩვენს შეცდომებს და ურთიერთშორის განხეთქილებებს, კარგად ვყავართ შესწავლილი!..

რა უნდა ვქნათ? სისხლიან პოლიტიკურ დაფაზე ჩვენი სვლა მარცხით დამთავრდა. ახლა სხვა დაფა გადაიშალა, სხვა სვლებია საჭირო. ნუთუ ეს სვლა აგვისტოს თავზარდამცემ ომში ჩვენი ქვეყნის მმართველების როლის და მოქმედების გაანალიზებაშია? ეს ისედაც ხომ აუცილებელია, მაგრამ არის კი ახლა განჩხრეკის დრო? უნდა ვიფიქროთ, გავზომოთ ასჯერ და გავჭრათ ერთხელ! წაადგება კი ჩვენს დაჭრილ-დანაკუწებულ სამშობლოს, დათრგუნვილ და გრძნობებდამძიმებულ ქართველ ხალხს საკუთარ სახლში უნიათო და უნიჭო მოყვასთა (ვერ ვიტყვი მტრების-მეთქი!..) გამომზეურება, მაშინ როდესაც სამშობლოს, როგორც სახელმწიფოს ბედი სასწორზე დევს და ამავე დროს ჩვენ შემოგვყურებს მთელი მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო? თუ ჩვენ ახლაც შევცდით, ეს კიდევ უფრო მკვეთრად აღიქმება იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც არა მხოლოდ თანადგომას გვიცხადებენ, არამედ პოლიტიკური და მატერიალური დახმარების ხელსაც გვიწვდიან. ახლა ჩვენ ისინი თვალყურს გვადევნებენ რამდენად ვართ იმ დიდი თანადგომის ღირსი, რომელიც მათ ჩვენდამი უდავოდ გამოიჩინეს. და განა არ გვესმის, რომ ულირსი კი არადა, სწორედ რომ ღირსეული საქციელი ის არის, შეცდომილს შეცდომებზე რომ მიუთითებ, დამნაშავეს რომ დანაშაულს აღიარებინებ... მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიც კანონმორჩილია, კანონი – სამართლიანი, ხალხი კი – ერთსულოვანი და დემოკრატიული. ვშიშობ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოტივების იმედი მაინცდამაინც არ უნდა გვქონდეს, არც მთავრობისაგან (ასე რომ იყოს დიდი ხანია უკვე საკუთარი ქმედებების ანალიზსაც გააკეთებდნენ, განსასჯელს განსჯიდნენ და საქმის კურსშიც ჩაგვაყენებდნენ!..), არც ხალხისაგან. ერთი სიტყვით, ვერ დავიჩემებ, მაგრამ ახლა ის დროა, ჩვენი ნაკლის გამომზეურებას და შიდა არეულობას უნდა ვერიდოთ...

მტერი ეიფორიაშია, ჩვენი ხალხი კი – დეპრესიაში. საწინაოსკენ სავლელი გზა ჩაგვეხერგა. საზრუნავი, რომელიც აგერ უკვე თვრამეტი წელია მოსვენებას არ გვაძლევს, გაგვიათკეცდა. პოლიტიკა უნდა შეცვალოს როგორც მთავრობამ, ასევე ოპოზიციამაც, ახლა იგი ახალი შტრიხებით უნდა დაიტვირთოს, რომელთა შორის თვალშისაცემი იქნება ზომიერებით და მოთმინებით გაჯერებული სიბრძნე. მთავრობა ვალდებულია იზრუნოს დევნილებზე, ომში დაღუპულთა სახელებზე, მათ ღირსეულად წარმოჩენაზე, უნდა იზრუნოს მთლიანად საქართველოს მოსახლეობაზე ისე, რომ ნაბან წყალს ბავშვიც არ გადააყოლოს. მხედველობაში მაქვს ჩვენს სკოლებში და საბავშვო ბაღებში პატარებისა და მოზარდების შეუფერხებელი აღზრდა-სწავლა-განათლების დაცვა. მთავრობამ და ყველამ, ვინც პოლიტიკურ საჭეს ებღაუჭება, უნდა განამტკიცოს სიტყვის თავისუფლება, იზრუნოს მართალი, დემოკრატიული მედიის ალორძინებაზე, პატიოსანი, სამართლიანი, ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზების შექმნაზე, თითოეული ჩვენი მოქალაქის ღირსებისა და უფლებების დაცვაზე და, რაც მთავარია, ოპოზიციამ და პოზიციამ საბოლოოდ უნდა დაივიწყონ უმართებულოდ და უმიზეზოდ ერთმანეთში სამკვდრო-სასიცოცხლო მტრების მოძიება. ცინიზმი, რომელიც საკმაოდ ილვრება ორივე ბანაკის (პოზიცია-ოპოზიცია!..) რიტორიკიდან, არა მარტო აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, არამედ აბნელებს მას და ძირს უთხრის ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. ის, რასაც აქ მოგახსენებთ, ავტორის გაკადნიერებული პრეტენზიები როდია, ეს თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქეთა დაკვეთაა. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერ ვგრძნობთ შექმნილ მდგომარეობას, ვერ ვხედავთ და ვერ ვიზიარებთ გასაჭირს და ტკივილს თავიანთი ოფლით და შრომით განოყიერებული კარმიდამოდან გამოდევნილთა. ჩვენ ახლაც ჩაგვესმის უკანასკნელი კვნესა მშობლიურ მიწას შეწირული ჭაბუკებისა, ვერასოდესაც ვერ დავივიწყებთ თბილისის იმ ღამეს, როდესაც შეცბუნებულები, გაოგნებულები და უსაზღვროდ დარცხვენილები, გულხელდაკრეფილი ველოდებოდით ქალაქის დაბომბვას და მტრის შემოსევას, ისიც კი არ ვიცოდით ბომბების დაშენისა და სხვა კიდევ უარესი და უარესი იარაღის გამოყენების შემთხვევაში როგორ დაგვეცვა და დაგვეფარა ჩვენი შვილები და საკუთარი თავი. ჩვენმა ხელისუფლებამ საერთოდ დაივიწყა სამოქალაქო თავდაცვის საგნის არსებობა. იგი, რა თქმა უნდა, ომის დროს კი არა, მშვიდობიანობის დროს უნდა ისწავლებოდეს, ქალაქებში – განსაკუთრებით! დიახ, ნუ ეგონება ნურავის, რომ კითხვები არა გვაქვს. რა ხდებოდა, რა მოხდა და რა მოხდება – უთუოდ მოვა ამ კითხვებზე პასუხის მოთხოვნის დრო და ჟამი.

და მაინც უნდა ვთქვა, რომ ამ წერილის ძირითადი მიზანია გამოვეხმაურო ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა მოსაზრებას. ამ პარტიებში ბევრი შესანიშნავი პიროვნება, პოლიტიკურად და სულიერად ამაღლებული ადამიანი მეგულება, უნდა ვუთხრა მათ: არ მოტყუვდნენ... შინაური პოლიტიკის დალაგების ცდამ და იმ, აწ გამოუსწორებელი შეცდომების უდროოდ გაანალიზებამ მტერი ერთხელ კიდევ არ გაგვახარებინოს. ჩვენ, ყველანი ერთად, პარტიული თუ უპარტიო, უნდა შევსხდეთ ჩვენს საყვარელ, ჩვენს გადამრჩენელ წიქარაზე და წინ, სამშვიდობოსაკენ უნდა გავწიოთ, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კვალდაკვალ მდევარი მტერი ბუზის ოდენა კი არადა, უკვე თუ უფრო დიდი არა, დათვის ოდენა ხომ ნამდვილად ჩანს. არც ხელთ გვიჭირავს უკან მოსასროლი ჯადოსნური ნივთები, მტერს რომ წინ კლდესავით აღუდგება და მისი ბასრი კლანჭებისაგან დაგვიცავს. ჩვენ ახლა დაუძლურებული, ოკუპანტებისაგან დარბეული საქართველო ვართ, არა გვაქვს ღონე, ჩვენ ახლა ხერხს უნდა მივმართოთ!

ხალხი...

ხალხი მაინც ხალხია და იგი ისევ მისივე დაქირავებულ მთავრობას შეჰყურებს, მთავრობა კი... ძველ გზას მიუბრუნდა და ვითომ ახლა პატიმრები, გაუბედურებული ოჯახები გვაკლია, სამშობლოს განახევრებით გულდათუთქულებს თავზარდამცემი ინფორმაციებით „გვანებივრებს".

კითხვები მატულობს, მაგრამ ნუ ვეცდებით, რომ ფიალა ნაჩქარევად შევავსოთ, ამის დროც დადგება...

**გულნარა სტურუა**

⊙ ინფორმაცია

## შემოაღწია „ანტირუსულმა ვირუსმა"

**რუსეთის** ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღიარა, რომ მოსკოვის მხრიდან ადგილი ჰქონდა „გადამეტებულ ქმედებებს".

– დარწმუნებული ვარ, გადამეტებული ქმე-



დებები ყველა მხრიდან იყო. მიმდინარეობდა ომი და, როდესაც ღამით ხედავთ, რომ გესვრიან, მიდიხარ ცხინვალის დასახმარებლად, შენი საპასუხო ცეცხლი არ შეიძლება იყოს განსაზღვრულად ზუსტი და ვინმე უდანაშაულო არ დაზიანდეს, – განაცხადა სერგეი ლავროვმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვიზიტების შემდეგ.

„იტარ-ტასის" ცნობით, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის გონებაში „ანტირუსულმა ვირუსმა" შეაღწია.

– ის, რასაც სააკაშვილი აკეთებს, ხელს უწყობს ქართველი ხალხის გონებაში ანტირუსული ვირუსის შეღწევას. რუსულ საზოგადოებაში ჩვენ მსგავსის ხილვას არ ვისურვებდით, – აღნიშნა მან.

ლავროვმა მოუწოდა სააკაშვილს, არ „დაამახინჯოს ისტორია, რადგან ეს ძალიან სახიფათოა.

– რუსეთი არ დაუშვებს, ლოზუნგებით ილაპარაკოს. ვერავინ ვერ შეძლებს რუსეთის შეურაცხყოფას, – აღნიშნა ლავროვმა და დასძინა, რომ „აღნიშნული ბინძური პოლიტიკა, ბინძური დიპლომატიაა.

## თარგამაძეს უკეთესი მომავლის იმედი აქვს

**საპარლამენტო** უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ნატოს დელეგაციასთან შეხვედრაზე სატელევიზიო მედიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საარჩევნო კოდექსის გადახედვის აუცილებლობასა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.



ამის შესახებ თარგამაძემ გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

თარგამაძის თქმით, დიალოგის მაგიდასთან უმრავლესობას სწორედ ოპოზიცია წარმოადგენდა.

მისივე განცხადებით, ნატოს წევრი ქვეყნების ელჩების კითხვები შეეხებოდა საქართველოს საგარეო საფრთხეებთან და შიდა პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში ოპოზიციის შეხედულებებს.

– ჩვენ ვთქვით, რომ საპარლამენტო უმცირესობისა და „ქრისტიან-დემოკრატებისთვის" ნატოში ინტეგრაცია არის უკეთესი მომავალის, ეკონომიკური წინსვლისა და უსაფრთხოების გარანტია, – დასძინა თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი

**განსჯა**

# ნატო შანსს გვაძლევს

**(მეორე გვერდიდან)**

როგოზინის განცხადებით, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს „აქვს კონფლიქტი ორ მეზობელ ქვეყანასთან – აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“, რომლებსაც რუსეთი მფარველობს, – მისი ნატოში მიღება იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი რისკავს საქართველოს წევრობის შემთხვევაში რუსეთთან ომის მდგომარეობაში შესვლას“.

ბუნებრივია, როგოზინი გულისხმობს, რომ ნატოს წესდება იმპერატიულად მოითხოვს წევრი ქვეყნების დაცვას თუნდაც სამხედრო ძალით. თუმცა, მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ „გზამკვლევი“ არ ნიშნავს სრულფასოვან წევრობას.

მაშასადამე, საქმეც სწორედ ისაა, რომ მოსკოვის აღქმით, თუ საქართველო „გზამკვლევს“ მიიღებს, ამით იგი შეიძენს გარანტიას, რომ ქვეყნის გადასვლა სხვა (რუსეთისგან განსხვავებულძ გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში, გარდაუვალი იქნება.

ერთი ქართული ანდაზის შესაბამისად კი, როდესაც მოსკოვი „საქართველოს ეუბნება“, ისე ამბობს, რომ უკრაინამაც „გაიგონოს“ და თუ კიევს ასე აშკარად ჯერ ვერ უბედავენ ულტიმატუმებს, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ (ჯერჯერობითძ კონფლიქტის პროვოცირება ვერ მოახერხეს. თუმცა ძალიან ცდილობენ და ეს მხოლოდ დროის საქმეა – თუკი ყირიმში რუსეთის საკონსულოს მიერ რუსული პასპორტების დარიგების ტემპს და კრემლიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის დონეს გავითვალისწინებთ.

თბილისში გამართულ საბჭოზე გენერალურმა მდივანმაც და პრეზიდენტმაც მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი აქცენტები დასვეს. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ იგი მზად არის ნატოს წევრებს გადასცეს სრული მამტკიცებელი მასალა იმისა, რომ ომი საქართველოს არ დაუწყია, ხოლო რუსული ჯარები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უკვე 7 აგვისტოს. ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ისტერიული პროპაგანდის ფონზე, რომელსაც რუსეთი და მის მიერ დასავლეთში დაქირავებული უძლიერესი „პიარ სააგენტოები“ აწარმოებენ.

რუსეთის უშიშროების საბჭომ კი პრეზიდენტ მედვედევს (ბუნებრივია პუტინის ინიციატივითძ „საინფორმაციო ჯარების“(!!!ძ შექმნა შესთავაზა, ანუ ჯორჯ ორუელისეულ „სიმართლის სამინისტროზე“ ბევრად უარესისა.

სამწუხაროდ, ეს ცნობა დასავლეთის მედიაში „დაიკარგა“ და სათანადო ყურადღება არ მიექცა. არადა, „საინფორმაციო ჯარების“ შექმნა იმას ნიშნავს, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში იქმნება კიდევ ერთი საჯარისო სახეობა, ანუ „სახმელეთო ჯარებთან“, „სამხედრო-საზღვაო ძალებთან“ ერთად ჩამოყალიბდება კიდევ... საინფორმაციო ჯარები!!!

მის შემადგენლობაში აგრეთვე შევლენ „სადეზინფორმაციო სამსახურები“, დასავლურ პრესაში ჩანერგილი აგენტურის მესვეურნი და ის ქვედანაყოფი, რომელმაც შარშანწინ ესტონეთის, ხოლო წლეულს საქართველოს ინტერნეტ-სისტემა დაანგრია კიბერ-შეტევებით.

ეს იდეა მართლაც ყველაზე ზუსტად მეტყველებს, რას წარმოადგენს პუტინის რუსეთი და რამდენად საშიშია იგი დემოკრატიული მსოფლიოსათვის. ამ ფონზე საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა (საინფორმაციო თვალსაზრისითძ კიდევ გასაკვირად დამაკმაყოფილებელია – მიუხედავად ზოგიერთი ტრაგიკული შეცდომის და მარცხისა, რომელიც მტერ-მოყვარემ კარგად გამოიყენა.



მიხეილ სააკაშვილის თქმით, იგი აპირებს პარლამენტს შესთავაზოს დემოკრატიულ რეფორმათა პაკეტი, რომელიც გაითვალისწინებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გარანტიათა გაძლიერებას. ესეც მრავალმხრივ ნიშანდობლივი განცხადებაა. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი ნატოს საბჭოს სხდომაზე გაკეთდა – დეკემბრის მინისტერიალისა და „გზამკვლევის“ კონტექსტში.

ამით პრეზიდენტი აშკარად ცდილობს რეალურ ოპოზიციასთან (მათ შორის ქალბატონ ბურჯანაძესთანძ დისკურსი ნატოს სიბრტყეზე გადაიტანოს, ხოლო დემოკრატიული რეფორმების გატარება მჭიდროდ დაუკავშიროს „საგზაო რუკის საკითხს“.

თამაშის ამგვარ წესებს ალიანსიც მიიღებს, რაკი იგი მართლაც ქვეყანას უჭერს მხარს და არა პოლიტიკურ ელიტას – ხელისუფლებას თუ მის ოპოზიციას.

ამით ნატო კვლავ ადასტურებს თავის მოთხოვნას „დემოკრატიული სისტემების განვითარებასთან“ დაკავშირებით და გვაძლევს უნიკალურ შანსს: მოვიპოვოთ „საგზაო რუკა“ იმ პირობებშიც კი, როდესაც ქვეყანა ჯერ ვერ აკმაყოფილებს (ობიექტურად ასეაძ ალიანსის უმთავრეს პირობას სრულფასოვანი წევრობისთვის, ანუ ვერ აკონტროლებს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს.

სხეფერის საპასუხო განცხადება, რომ „ნატო მზად არის განაგრძოს თანამშრომლობა დემოკრატიულ საქართველოსთან“, უეჭველად იმას მეტყველებს, რომ ალიანსი ბევრ რამეს გვაპატიებს – დემოკრატიულ პრინციპთა უგულებელყოფის, სასამართლოს დაკნინების, კერძო საკუთრების ხელყოფის, ადამიანის უფლებათა დარღვევის და სტაბილური მრავალპარტიულობის შანსის გამოუყენებლობის გარდა.

**ნიკა ვაშაკიძე,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ინფორმაცია**

## ბრაიზა კვლავ რუსეთს უტევს

**საქართველოში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ შეიძლება მხოლოდ დააჩქაროს ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია, – ამის შესახებ ნატო-სა და ეუთო-ს ელჩებთან შეხვედრის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზამ განაცხადა.**

**– რუსეთი განაგრძობს იმ 6-პუნქტიანი ხელშეკრულების დარღვევას, რომელიც პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით იქნა მიღწეული. რუსეთი უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, კერძოდ, გაეროს რეზოლუციას, – აღნიშნა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა.**

**ბრაიზას განცხადებით, უკვე შეძლო გასაუბრებოდა ნატოს ელჩებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოში მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონსტრუქციულ ფორმატში და მიღწეულია საკმაოდ დიდი წარმატებები.**

## მალე ბერძენი დამკვირვებლები გვეწვევიან

**ბრიუსელში, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე საბერძნეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ევროკავშირის ეგიდით საქართველოში 8 დამკვირვებელს გააგზავნის.**

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველოში, იმავე ეგიდით, 200 დამკვირვებელი უახლოეს პერიოდში ჩამოვა. ისინი გადანაწილდებიან როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე.**

**ევროკავშირის დამკვირვებლები, სარკოზი-მედვედევის გეგმის თანახმად, მისიის შესრულებას პირველ ოქტომბრამდე უნდა შეუდგნენ.**

ინტერპრესნიუსი

**აღიარება**

# საბრძოლო მოქმედებები რუსეთის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახა



**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აღიარებს, რომ კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები ნეგატიურად აისახა რუსეთის ეკონომიკაზე. ეს განცხადება მედვედევმა მსხვილ ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან შეხვედრისას გააკეთა.**

„სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ტრაგიკულმა მოვლენებმა გაართულა ისედაც რთული მდგომარეობა ფინანსურ და სხვა ბაზრებზე. ნებისმიერი სამხედრო კრიზისი აუცილებლად ქმნის ეკონომიკურ პრობლემებსა და კრიზისს ბიზნესის წარმოებისთვის“, – აცხადებს მედვედევი და დასძენს, რომ რუსეთი პირველად როდი გრძნობს მსოფლიო ეკონომიკის პრობლემების პირდაპირ დამოკიდებულებას.

მედვედევმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მას როგორც ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, შექმნილ სიტუაციაში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იმის გარდა, რომ სამხედრო ოპერაციის დაწყების ბრძანება გაეცა.

„თუკი იქნება იმის ცდები, ამა თუ იმ ბაზარზე გასასვლელი დაგვიხურონ, ვფიქრობ, კარგად გვესმის, რა შედეგი შეიძლება ამას მოჰყვეს, მაგრამ არავითარი კატასტროფა არც სახელმწიფოსთვის და არც ბიზნესისთვის ეს არ იქნება. პირიქით, ეს მხოლოდ ჩვენი შიდა ბაზრის განვითარებისთვის იქნება კარგი“, – აცხადებს მედვედევი და დასძენს, სიმართლისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთს ეს ყველაფერი არ უნდაო.

რუსეთის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთს არც კონფრონტაცია და არც იზოლაცია არ სურს.

„კონფრონტაცია და იზოლაცია არ გვჭირდება. ეს ჩვენ უკვე გვქონდა წინა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში“, – განაცხადა მედვედევმა და დასძინა, რომ მიუხედავად ამისა, რუსეთი თავისი ინტერესების დაცვას გააგრძელებს და მისი ინტერესები არავის ინტერესებს ხელს არ უშლის.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ვანდალიზმი**

# აგრესიის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაზიანდა

**შიდა ქართლის რეგიონში რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და ოსი სეპარატისტების მიერ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად კულტურული მემკვიდრეობის არაერთი ძეგლი დაზიანდა. ამის შესახებ განცხადებას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზარალის ზუსტი შეფასება შეუძლებელია, რადგან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ დროებით კონტროლირებად ტერიტორიებზე ვერ ხერხდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფების შესვლა.

„რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნგრევის შესახებ არსებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ზიანის მიყენება, სულ მცირე, ხორციელდებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების უმოქმედობის ფონზე, ხოლო ხშირ შემთხვევაში, კულტურული ძეგლების განადგურების შეგნებული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა“, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას და მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების განადგურების ამ სრულიად უკანონო და მიუღებელ პრაქტიკას.

ქართული მხარე რუსეთის ფედერაციას ახსენებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერი გამიზნული დაზიანება არღვევს იმ საერთაშორისო დოკუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომელთა ხელმომწერი მხარეებიც არიან როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სათანადო შეფასება მისცენ შექმნილ ვითარებას და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები საქართველოს უნიკალური ისტორიული ძეგლების შემდგომი განადგურების თავიდან აცილების მიზნით. ქართული მხარე ასევე მოითხოვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მივლინებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასებისა და ძეგლების შემდგომი რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ხედვა უცხოეთიდან

*48 წლის მამა ქრისტოფორემ ქართული კარგად არ იცის, მაგრამ მაინც გეტყვით ქართულად: „ღმერთმა დაგლოცოთ“... მეტიც, მას ლიტურგიის მომცრო ნაწილის თავისებური ქართულით წაყვანაც კი შეუძლია. ნიუ-იორკის ცენტრში, მანჰეტენზე, ნიუ-იორკის ცნობილი უნივერსიტეტის (მას შემოკლებით ენ-ვაი-იუს უწოდებენ) გვერდით, მეორე ავენიუსა და მეორე ქუჩის გადაკვეთაზე წმინდა ქალწულის მფარველობის ეკლესია და წმინდა უმანკო ირკუტსკის სამლოცველო დგას. ეს რუსული მართლმადიდებელი (ორთოდოქსული) ტაძარია, ყველაზე დიდი მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკულ მეგაპოლისში. ტაძარში მამა ქრისტოფორე ყოველდღიურ მისალმებებს, ლოცვანს მისგან შორს, ოკეანის გადაღმა პატარა ქვეყნის სამეტყველო ენით გაგაგონებთ. მისთვის და ეკლესიის ქართული მრევლისთვის მთავარი გრამატიკა კი არა, ლოცვის ძალა და თბილი, გამამხნევებელი სიტყვაა.*

## მამა ქრისტოფორე:

# „ქართველები რუმინელებს ძალიან ჰგვანან“

— დავიბადე ჩიკაგოში, ვარ მეორე თაობის ამერიკელი, ჩემი მშობლები რუმინელები გახლდნენ, მიყვება იგი, — ვსწავლობდი სხვადასხვა კოლეჯში, მათ შორის, ვლადიმერის სემინარიაში ქრესვუდში, ნიუ-იორკის შტატში და წმინდა ტიხონის სემინარიაში სამხრეთ კანაანში (პენსილვანია).

**— ვიცი, რომ ბევრ ქართველს იცნობთ** — ვეუბნები მამა ქრისტოფორეს...

— მართალაც, ასობით ქართველს ვიცნობ. დღესდღეობით კი მრევლში 40-მდე ქართული ოჯახი გვყავს. ისინი ჩვენი ეკლესიის მრევლის 50 პროცენტს შეადგენენ...

1991 წელს ნიუ-იორკში მეორე ავენიუზე მდებარე მართლმადიდებელ ეკლესიაში ქართველებმა თანდათან დაიწყეს სიარული. სწორედ იმ დროს ამოქმედდა ჩვენი ეკლესიის პატარა მისია. მე ამ მისიის ნაწილი გახლდით, ეკლესიას მსახურების დროის შერჩევასა და ხალხის მოწვევაში ვეხმარებოდი. ჩემი აზრით, ქართველები რუმინელებს ძალიან ჰგვანან. მეგობრული, კომუნიკაბელური, სტუმართმოყვარული, თბილი, ლამაზი ხალხია და თანაც, დასამორჩილებლად არც ისე იოლი. ასე ვიცნობ მათ. ამაყობენ თავიანთი ადათ-წესებით, ხალხით, მიწითა და ისტორიით.

**— რას გრძნობდით, როცა შორეული საქართველოს დაბომბვა დაიწყეს?**

— ძალიან დავითრგუნე. დემორალიზებული ვიყავი. გაბრაზებული! როგორც ამერიკელმა რუმინელმა, მე ვიცოდი ერთი რამ: არასოდეს უნდა მივნდობოდი საბჭოელებს, განსაკუთრებით კი — რუსებს. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, თუ რაოდენ ველური იყო კომუნიზმი, როგორ მოახდინა მან ჩვენდა დაუკითხავად რუმინეთში კომუნიზმის ექსპორტი. მას მერეც კი, რაც სსრკ დაინგრა, არასოდეს შემიცვლია პოზიცია საბჭოელთა მიმართ. ისინი ხომ ჰომო-სოვეტიკუსებად დარჩნენ. მყისიერ მზადყოფნაში არიან, რომ ველურობა სხვებზე გამარჯვებისთვის გამოიყენონ. ისინი მზად არიან სწორედ ის გზა გაიარონ, რომელიც წინა საუკუნის დასაწყისში გაიარეს. ამის დასტური კი საქართველოში განვითარებული მოვლენებია.

**— სამწუხაროდ, არის ცნობები, რომ რუსეთი მათ მიერ ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიებზე, კერძოდ კი აფხაზეთში, ქართული ავტოკეფალური ეკლესიის „მიერთებას“ ცდილობს...**

— როგორც ჩანს, რუსულ ეკლესიას არაფერი უსწავლია თავისივე ტრაგიკული წარსულიდან. იგი თავის თავს უფლებას აძლევს სახელმწიფოსთან ერთად იმოქმედოს. მაგრამ ეს ხომ თავიდან ბოლომდე პოლიტიკური აქციაა. მას უნდა სხვა ქვეყნის ეპარქია მიიერთოს. რუსეთი კვლავ არ აძლევს გასაქანს უკრაინას, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე „ალანია“. ამგვარი ქმედება რუსეთს ერთ დღეს ტრაგიკულად შემოუბრუნდება, რაც არაერთხელ მოსვლია კიდეც. ამგვარი ქმედებით ისინი ეკლესიიდან კარგ ადამიანებს აგდებენ, ამით კი ხელს ოპორტუნისტებსა და შარლატანებს უმართავენ.

**— დღეს უფრო ხშირად, ვიდრე არასდროს, გაისმის ფრაზა ორი ერთმორწმუნე ერის ურთიერთობის შესახებ. რამდენად მართებულია საკითხის ამგვარად დაყენება?**

— დღეს რეალურად განა ვინმეს რაიმეს გაკეთება ძალუძს? პუტინი და მისი კაცები ძველი კაგებედან, სსრკ-დან მოდიან. რასაკვირველია, ასეთი ადამიანები ყოველნაირად გამორიცხავენ რელიგიურ რწმენას იმისთვის, რათა გააძლიერონ თავიანთი ძალაუფლება და ავტორიტეტი. მათ არ ადარდებთ, ვინ რას ამბობს. ალექსი მეორემ ილია მეორესთან ერთად მშვიდობისკენ და ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა. მაგრამ რუსული ჯარი კვლავ დასცინის და დაუსჯელად ემუქრება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. ჩვენ დავსტირით, ვიტანჯებით, ვლოცულობთ ავადმყოფებისთვის, დაჭრილებისა და დაღუპულთათვის. ლოცვა უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სახის ძალადობის დემონსტრირება. სწორედ ამას აქვს ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

არსებობს არა ნამდვილი მართლმადიდებლური ქვეყანა, არამედ არსებობენ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, რომლებიც რელიგიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. არსებობენ არა მართლმადიდებელი ქვეყნები, არამედ უბრალოდ ქვეყნები, სადაც უმრავლესობა თავის თავს მართლმადიდებლობასთან აიგივებს. მართლმადიდებლობა არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ეკლესიაა ქვეყანაში, ან რამდენი ადამიანი ლიტურგიას როგორი სიხშირით ესწრება. ჭეშმარიტად მორწმუნე ძალიან ცოტაა! მართლმადიდებელი არასოდეს იქცევა ისე, როგორადაც რუსეთი. იგი თვითმკვლელს ჰგავს, რომელიც თავისსავე მუცელში დანას იყრის. საქართველოს კი თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული იმ მკვლელი დათვის გამო, რომელსაც დასავლეთის გადაყლაპვის სურვილი მუდმივად ამოძრავებდა. დასავლეთი დეკლარირებს, ხოლო მის გზავნილებს აქაც ყველგან გაიგონებთ. ევროპა ყოველი ფეხის ნაბიჯზე იცვლება. თქვენ, ქართველებმა, ჯობს თავად მოძებნოთ საერთო რუმინელებთან, ბულგარელებთან, ბერძნებთან, სერბებთან, რუსებთან და სწორედ ამგვარად ააშენოთ სამომავლო ურთიერთობები. დღეს ეშმაკი დიდად ბედნიერია იმით, რაც საქართველოს თავს დაატყდა. მაპატიეთ, თუ რაიმე შემეშალა. მაპატიეთ... უბრალოდ, ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი.

**— რას გვისურვებდით?**

— გისურვებთ მშვიდობასა და აყვავებას. ისეთ ეკონომიკას, რომელიც იმის საშუალებას მოგცემთ, რომ წელში ყოველგვარი სისხლის ჩანთხევის გარეშე გაიმართოთ. ვგულისხმობ იმ ერთ მილიონზე მეტ ქართველს, რომელიც დასავლეთში საშოვარზე მიდის და თავისიანებს ცენტებს უგზავნის. მიიღეთ ის რეალობა, რომ ჩრდილოეთით ბოროტი დათვია. ნუ აპროვოცირებთ მას და მოიძიეთ გზა მშვიდობისა. ნუ აღიქვამთ დასავლეთს გადამრჩენად. მისი დახმარება არასოდეს იქნება რეალური. თქვენ ხართ კუბა, ოღონდ, პირიქით... ღმერთმა დაგლოცოთ!

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ.
ნიუ-იორკი, აშშ.



**სურათზე: ცენტრში არქიეპისკოპოს-მიტროპოლიტი ჰერმანი, მამა ქრისტოფორე (მის მარჯვნივ), მარცხნივ — მამა ამირან ამირანაშვილი სიონის ქართველ ვაჟ მგალობელ გუნდთან ერთად.**

**(სურათი გადაღებულია წმინდა ქალწულის მფარველობის ეკლესიაში (ნიუ-იორკი, 2006 წლის დეკემბერი).**

# „ფორუმი 18“

**ნორვეგიულ-დანიური არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფორუმ 18“, რომელიც ოსლოში მოღვაწეობს, მთელს მსოფლიოში რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ერთგვარი მიუკერძოებელი მონიტორია. ორგანიზციის თანამშრომლები ადამიანის უფლებების დეკლარაციის მე-18 მუხლის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „რწმენის თავისუფლების“ მუხლის „მოდარაჯე ძაღლები“ არიან. ორგანიზაცია კრებს და აანალიზებს ადამიანის რელიგიური უფლებების შელახვის ფაქტებს ბელორუსიიდან, ლაოსიდან, სერბეთიდან, ვიეტნამიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, ჩინეთიდან, მონღოლეთიდან, ყაზახეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან.**

წლეულს ადამიანის უფლებათა დეკლარაციას 60 წელი უსრულდება. წლინწადის მიწურულს იუბილარს, ალბათ, დასავლეთ-აღმოსავლეთით თუ სამხრეთ-ჩრდილოეთით ზარ-ზეიმით მოიხსენიებენ და ასეთივე პომპით ხმამაღალ პატაკსაც ჩააბარებენ. დამერწმუნეთ, მოპატაკეთა შორის ყველაზე გამორჩეული და ხმოსანი გაერო იქნება. აუცილებლად გაიხსენებენ აგვისტოში რუსული ტანკების „სამშვიდობო დეფილეს“ ფუნდამენტური უფლების — სიცოცხლის „შესანარჩუნებლად“. მერე ჯერი XXVIII მუხლზეც მიდგება. ოღონდ ამჯერად „ფორუმელები“ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში არაიელოვას მოწმეების დევნის ფაქტს გაიხსენებენ (მით უმეტეს, როცა ბასილ მკალავიშვილმა ციხეში პატიოსნად მოიხადა თავისი „მოქალაქეობრივი ვალი“ სამოქალაქო ბიბლიის, კონსტიტუციის წინაშე და განწმენდილი წარუდგა სამოქალაქო თუ რელიგიურ სამსჯავროს), არამედ აფხაზეთში ქართული ტაძრებისა და მრევლის შეურაცხყოფის არაერთი ფაქტის გამო. მაშინ, როცა სამაჩაბლოელები ტყე-ტყე რუს „მშვიდობის, სიკეთისმყოფელებს“ და ოსი ეროვნების „გენოციდის მსხვერპლთ“ ემალებოდნენ და, აბა, ვინ იცის დანამდვილებით ლოცვას კითხულობდნენ თუ თავისი გაჩენის დღეს წყევლიდნენ; ზუსტად ამ დროს ზემოკოდორელი ქართველი ბერ-მონაზვნები გამოქვაბულში ისხდნენ და, ვფიქრობ, განსაკუთრებული განცდით ლოცულობდნენ. სავარაუდოდ, იმათთვისაც, ვის გამოც ტყვიების ზუზუნში ქვის ბომბსაფარს შეაფარეს თავი. ალბათ, იმასაც ამბობდნენ: „ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არა უწყიან რასა სჩადიან!“ ესეც თქვენ 60 წლის ცნობილი იუბილარისთვის „განუმეორებელი“ საჩუქარი გაეროს წევრი მართლმადიდებელი რუსეთიდან...

* * *

ამა წლის 4 სექტემბერს ორგანიზაცია „ფორუმი 18“-მა საქვეყნოდ ატეხა განგაში: შუა აგვისტოში ზედა კოდორის ხეობაში ორი ქართული მონასტრის ბერები და მონაზვნები აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაატყვევეს. ისინი აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფებიან, მათ აიძულებენ ქართულ იურისდიქციის მიკუთვნებულობაზე უარი განაცხადონ. ისინი ასეთი არჩევანის წინაშე დგანან: „ან უნდა აღიარონ ამ ეკლესიის ავტორიტეტი, ანდა უნდა დატოვონ აფხაზეთი“, — განაცხადა აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარმა მამა ბესარიონ აპლიამ. მან ბრძოლის დღეს ქართველი ბერები და მონაზვნები მოინახულა. როცა აპლიას ჰკითხეს, თუ ვინ მისცა მას უფლება სხვა იურისდიქციის ეკლესიის წარმომადგენლებზე ზეწოლის განხორციელებისა, თანაც სთხოვეს დაესახელებინა, თუ ვისი ბრძანებით მოქმედებს, მამა ბესარიონმა მათ უხეშად მიუგო: „ეს არაა თქვენი საქმე. ეს ჩვენი ტერიტორიაა.“ თვითმარქვია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გვინჯიამ კი განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესიას სრული უფლება აქვს იმისა, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებს აფხაზური ნება-სურვილი მოახვიოს თავს. „რასაკვირველია, ჩვენ არ დავიცავთ მათ უფლებებს იმ პროცესების გათვალისწინებით, რაც ახლა ხდება“, — განუცხადა მან „ფორუმ 18 “-ს.

იხ. 6 გვ.

◎ გულის ბუხარი

# ჭირ-ვარამით დახუნძლული ხეობა

**ამ ზაფხულს, მზემ რომ ძალიან დააცხუნა, აგვისტომ კი თავისი ბასრი ბრჭყალები გამოაჩინა, სულშეხუთულმა ბორჯომის ხეობას თავქუდმოგლეჯით მივაშურე. იქ, საბაანთკარში, უცხოეთში გადახვეწილი და იქ მოღვაწე ჩემი შვილის წყალობით, სოფლიდან „გამოქცეული“ კაცის ეზო-კარი შევიძინე, ჰოდა...**

სახლში ჩემი უმცროსი ძმა მურთაზი დამხვდა, სახლის „მოურავი“. მითხრა, აქედან ექვსიოდე კილომეტრის დაშორებით, მთების გულში, ჭაჭანახში, გოგირდის აბანოაო. მეორე დილით ზურგზე მოვიკიდე ჩემი 76 წელი და გზას გავუდექი.

სოფლის ბოლოში პატარა ხეივანი აქვთ. იქ წყარო გამოუყვანიათ, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ბიჭის მემორიალიაო. ზვიად ტაბატაძე – ავტომატიანი ყმაწვილი კაცი სევდიანად იყურება. ჩვენი მრავალტანჯული მამულის კიდევ ერთი იარა...

რა თქმა უნდა, ჩემი „სპორტული ამბებისა“ და „ჯანსაღობის“ შესახებ მოყოლას არ ვაპირებ. გზად ხეობაში ჩაფლული უშველებელი დასახლება – ახალდაბა რომ გავიარე, ნანგრევებადქცეული, ლამის ნახევარ კილომეტრზე გადაჭიმული ოთხსართულიანი ნაგებობა დავინახე და შემძრა.

მოგვიანებით, შინ დაბრუნებულმა მეზობელს ნოდარ გლურჯიძეს, მოფერებით ჭიკოს რომ ეძახიან, გამოვკითხე, იქ რა მოხდა-მეთქი.

– ეგ ყოფილი ავეჯის ფაბრიკაა. წლების განმავლობაში ერთ-ერთი საამქროს უფროსად ვმუშაობდი, 1500 კაცი იყო დასაქმებული, ძვირფას ავეჯს ვამზადებდით. ყოფილი საბჭოთა კავშირის გარდა, ჩვენი პროდუქცია შორეულ აღმოსავლეთშიც გადიოდა, მერე ახალი დროება დადგა და...

რუსთაველ კაცს, სადაც ათობით გიგანტი ქარხანა გაიძარცვა და ნანგრევებად იქცა, არ უნდა გამკვირვებოდა ალბათ, მაგრამ...

იმ ფაბრიკის გარდა, იმავე გზის პირას მრავალი შენობა-ნაგებობაა გაცამტვერებული. იქვე, ერთ-ერთი ასეთი სამსართულიანი შენობის ახლოს, ადგილობრივმა ხანდაზმულმა რომ ჩამიარა, ვკითხე, აქ რა იყო-მეთქი. ყოფილი ალმასკომის ყოფილი თავმჯდომარე იური გამეზარდაშვილი აღმოჩნდა.

– მოსწავლეთა დასასვენებელი ბანაკი იყო. ექვსი ასეთი შენობა გვქონდა, ახლა კი ორიღა შემოგვრჩა. „კარგ დროს“ ამ ბანაკებში ასობით ბავშვი იკაჟებდა ჯანმრთელობას ყოველ ზაფხულს. დასასვენებლად კი სეზონზე 30 ათასამდე ადამიანი ჩამოდიოდა. მისივე თქმით, დაბაში ახლა 850 ოჯახია, დაახლოებით სამიათასამდე მცხოვრებით. ადრე სამსახურებითაც იყვნენ ასე თუ ისე უზრუნველყოფილი. ზოგი ავეჯის ფაბრიკაში მუშაობდა, ზოგიც ამ მოსწავლეთა ბანაკებში მსახურობდა. იმ დროს ქვეყანასაც და სოფელსაც პატრონი ჰყავდა, დაბაც ჰყვაოდაო, მითხრა ბატონმა იურიმ.

– ამ კულტურის სახლმა რა დააშავა ან იმ რესტორანმა? – იქვე გაძარცვულ შენობებზე მივუთითე.

– აბა რა გითხრა, კომუნისტები რომ ჩამოყარეს, უპატრონოდ დარჩენილი ნაგებობების ძარცვა-რბევაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ზოგს აგური მიჰქონდა, ზოგს კარ-ფანჯარა... ოღონდ რამე წარეტაცათ და სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდნენ. ხომ იცით, უპატრონო ეკლესიასო...

მომდევნო დღეს კიდევ ერთ ჯმუხი აგებულების, სიჭარმაგეში ფეხშედგმულ კაცს გამოვემცნაურე. დაბის საკრებულოს წევრი, გვარად იანვარაშვილი აღმოჩნდა.

– რაღაც ახალგაზრდობას ძნელად ვხვდები. რა ხდება, ამხელა დასახლებაში ჭაბუკები და ქალიშვილები რამ გააწყო? – ვკითხე ინტერესით.

– ხანდაზმულებს პენსია მაინც აქვთ, ცოტა სოფლის ჭირნახულიც ემატება და ასე თუ ისე გააქვთ თავი. ახალგაზრდისთვის სამუშაო არ არის, ყველა გარბის.

– თავს რითი ირჩენთ?

– ახლა შემოდგომაზე გირჩს მოვაგროვებთ, ზოგი თევზსაც იჭერს. ისე, წაასწრებენ და ჯერ თევზს წაართმევენ, მერე თუ ციხეში არ გაუშვეს, კარგა დიდ ჯარიმას მაინც აანაპნიან. თითო-ოროლა რისკიანი ხე-ტყესაც წამოკრავს ხელს, მაგრამ თუ გამოიჭირეს...

– კი, მითხრეს, ერთი ახალგაზრდა წაქცეულ ხეს რომ ჩეხავდა ნაჯახით, მაშინ წაასწრეს ტყის მცველებმა. ზამთრისთვის შეშას ამზადებდა თურმე, ცოლ-შვილი და მშობლები რომ არ გაყინვოდა. მას კი ბრაკონიერობა დააბრალეს, ხუთიდან რვა წლამდე სასჯელი არ ასცდებაო.

– შეიძლება ასეც იყოს, არის ასეთი შემთხვევებიც, – შეცბუნდა საკრებულოს წევრი.

– სამაგიეროდ, გამთენიისას სამხიდიანი მანქანები, მძიმედ დატვირთულნი, გრიალით დადიან, ისედაც გაუბედურებულ სოფლის ორღობეებს ანადგურებენ. ადრიან დილით „სარკმელია“ და იციან როგორ გააპარონ ხეტყეო, ამასაც ამბობენ.

საკრებულოს წევრი გამერიდა. რას იზამ, დღეს ვის არ ეშინია. არადა, გამეზარდაშვილს, წინა არჩევნებში კომისიის წევრს რომ ვკითხე, საააკაშვილს და ახლანდელ პარლამენტს რამდენმა კაცმა მისცა ხმა-მეთქი, ანაზდად წამოცდა, არც არავინ გარჯილა სამაგისოდო და მალევე გამეცალა ამ სიტყვების შემდეგ.



იანვარაშვილისაგან კი ერთი საინტერესო ცნობის მიღება მოვასწარი. ამ ცოტა ხნის წინათ მისთვის რაიონის გამგეობიდან დაუვალებიათ დემოგრაფიული ინფორმაციის მოგროვება. განვლილ ერთ წელიწადში თურმე 91 კაცი გარდაცვლილა, შემატებით კი მხოლოდ 7 ახალშობილი შემატებია დაბას, რამაც მე თვითონაც გამაოგნაო.

წარმოიდგინეთ, სამიათასკაციან დაბაში შვიდი ბავშვი წელიწადში. ერთ დილას მძიმედ მიმავალ ხანდაზმულ, მართლაც წლებით დახუნძლულ და მრავალჭირნახულ კაცს ავემგზავრე.

– კეხვი თუ გსმენია, აი, ქართული სოფელი რომ იყო და აღარ არის?

– როგორ არა, მსმენია და მერე?

– სწორედ იქიდან გამოღწეული გახლავართ, ნეტავი კი მოვეკალით იქ, – ამოიხვნეშა და გზას მიაშტერდა.

რა თქმა უნდა, ლტოლვილები აქაც მრავლად არიან და არ გამკვირვებია.

– სტალინგრადიდან ბერლინამდე ვდიეთ ფაშისტებს. ასეთი მხეცობა, რაც ჩვენთან დაატრიალეს ვითომ მოძმეებმა და ისე კი ურჯულო გადამთიელებმა, არსად მინახავს. არა მგონია, ჩემი თანამებრძოლებიდან რუსთავში ბევრი იყოს ცოცხალი და რომც იყვნენ...

– როგორ გამოაღწიეთ კეხვიდან?

– იქ რომ ცოდვის კალო დატრიალდა, ნუ გამახსენებთ, ისედაც ვეღარა ვარ ჭკუაზე...

– სამშობლოსათვის, სტალინისათვისო, ხომ მიჰყიოდით მტერს მაშინ, სისხლიან ორმოცდახუთში?!

– ვერაფრით ვერ წარმომედგინა რუსები გორში, მათი გადამრჩენელი სტალინის ნააკვნარ ქალაქში, ტანკებით თუ შეგრიალდებოდნენ ოდესმე. მახსოვს სტალინის დაბადების 70 წლისთავზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ სთხოვა ბელადს, თქვენს სახელობაზე გორში თითო ქუჩას ავაშენებთო, მაგრამ უარი უთხრა.

– რუსებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, ისინი ხომ მსოფლიო ბატონობას მიელტვიან, თან რა მეთოდებით...

– კი, ბატონო, მაგრამ კოკოითმა, იმ თავგამხმარმა კაცმა, მრავალი ენის მცოდნე ჩვენს პრეზიდენტს ჭკუით როგორ აჯობა? იმათ რომ ქალები და ბავშვები ავტობუსებით გაჰყავდათ, ჩვენ ჩვენი მთავრობა გვარწმუნებდა, ნუ გეშინიათ, არაფერი მოხდებაო. კიდევ კარგი, ბევრმა სიფრთხილე გამოიჩინა, დროზე დაიჭირა თადარიგი. არადა, 14 წელი ოსები უბატონოდ ხმას არ გვცემდნენ. 9 სოფელი კაჟივით იდგა. – გამშრალი თვალებით ერთიღა ამომხედა და...

აბა მის სახელსა და გვარს როგორღა მოვიკითხავდი, ფეხს ავუჩქარე, სწრაფად ჩამოვიტოვე აღელვებული და დაბოღმილი.

იმ დღეებში (ომიანობის ჟამი მაქვს მხედველობაშიძ ერთი დიდი ტანკების კოლონა ამ ხეობაშიც გამოჩენილა. არიქა, რუსები მოდიანო და აქაურები დიდიან-პატარიანად მთებში გახიზნულან.

ჩვენები კი ყოფილან. ტანკები გადაუმალიათ მეომრებს, მერე თავად ტანსაცმელი უთხოვიათ, გადაუცვამთ და გაპარულან. კიდევ კარგი, ის ტანკებიც და საკუთარი თავიც გამოარიდეს ამ უაზრო და უგუნურ ომიანობას.

ხეობაშიც და ხაშურშიც ყველა ამბობს, აქაურობა ერთმა რუსმა გენერალმა გადაარჩინა ძარცვა-აწიოკებასო. ის კი არა, რამდენიმე მთვრალი მაროდიორი ჯარისკაცი საკუთარი ხელით ცემაო. თავისიანები მკაცრად გაუფრთხილებია, აქაურობას ხელი არ ახლოთო. თურმე ის გენერალი სურამის ბავშვთა სახლში ყოფილა აღზრდილი. იქაურობა რომ მოუნახულებია, თვალებზე ცრემლიც კი წამოსვლია. არადა, მართლაც, საქართველომ რამდენ უპატრონო რუსს უჭირისუფლა, რამდენი დიდი კაცი გამოზარდა...

ბევრი რამ სტკივათ ბორჯომელებს. საწუხარს ქართველ კაცს, თანაც ამ დუხჭირ ყოფაში რა გამოულევს. კიდევ ის, იმ დროს, როცა რუს-ჩეჩენ-ოს-კაზაკთა დივიზიონები უმოწყალოდ ჟლეტდნენ სამაჩაბლოში ქართველებს, ანგრევდნენ და წვავდნენ სოფლებს, ქართველობამ უზარმაზარი ცოცხალი ჯაჭვი გააბა, თუმცა მათგან ბევრის სიგიჟე და ტაშფანდურა, ვერც ის მრავალათასიანი მიტინგი, პრეზიდენტისა და ნაცმოძრაობის პიარს რომ ემსახურებოდა თბილისში, ვერა და ვერ გაუგიათ აქაურებს.

ამ ხეობაზე, კუთხეზე, მთლიანად ქვეყანაზე კიდევ ბევრი რამ დამიგროვდა სათქმელი იმ დღეებში, მაგრამ...

ილაპარაკე, ეს ხელისუფლება ვის რას გაუგებს, ის მაინც თავისას უზერავს.

**გივი ჯახუა**

◎ ხედვა უცხოეთიდან

# „ფორუმი 18“

(მეხუთე გვერდიდან)

– აფხაზეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა და აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია არის მთავარი ეკლესია“. მას მერე, რაც მართლმადიდებელი ქართველი მღვდელი აპრილში გალიდან გააძევეს, აფხაზეთში მხოლოდ ორი ქართული მონასტერი, ორი ქართული მართლმადიდებელი ინსტიტუტიღა შემორჩა.

როგორც აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერმა „ფორუმ 18“-ს განუცხადა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ბერებმა და მონაზვნებმა აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში უნდა დაადასტურონ, რომ ისინი უკვე სხვა ეპარქიას მიეკუთვნებიან, თუ არადა აფხაზეთი უმალ უნდა დასტოვონ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გვინჯილიამ განაცხადა, რომ სახელმწიფო არაფერს გააკეთებს ამ ბერებისა და მონაზვნების უფლებების დასაცავად, მათი რელიგიური თავისუფლების შესანარჩუნებლად. ისინი ამბობენ: ჩვენ არ გავაძევებთ მათ, უბრალოდ უნდა აირჩიონ – ან მიეკუთვნონ აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიას და განაგრძონ მსახურება, არადა აქედან წავიდნენ.

წმინდა გიორგის მონასტრის ბერები და წმინდა ნინოს მონასტრის მონაზვნები გულრიფშის რაიონის სოფელ აჟარაში, ზედა კოდორის ხეობაში ცხოვრობენ. ეს ადგილი იყო ერთადერთი ნაწილი აფხაზეთისა, რომელიც თბილისის კონტროლს ექვემდებარებოდა, – აცხადებს „ფორუმი 18“. 12 აგვისტოს, აფხაზეთის ჯარების მიერ დაწყებული ოპერაციის დროს, მოხდა მისი ოკუპირება. რუსული და აფხაზური მედია გვამცნობდა, რომ ომის დროს ბერ-მონაზვნები გამოქვაბულში იმალებოდნენ.

„ფორუმი 18“ ვერ დაუკავშირდა ბერებსა და მონაზვნებს, რათა ამ მოვლენებთან დაკავშირებით პირველწყაროდან გაეგო გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების რეაქცია. საქართველოს საპატრიარქოდან მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) დევნილობაში მყოფი ეპარქიის მღვდელთმთავარია. როცა „ფორუმ 18“-მა მას კითხვით მიმართა, თუ ვინ უნდა იზრუნოს ბერ-მონაზვნებზე, მამა დანიელს, ყოველ შემთხვევაში 2 და 3 სექტემბერს, ამაზე პასუხის გაცემა არ შეეძლო. „ფორუმ 18“-ს აფხაზეთიდან დევნილმა ერთმა ქართველმა მართლმადიდებელმა განუცხადა, რომ აფხაზეთის მხრიდან ბერ-მონაზვნები ისეთი ძლიერი წნეხის ქვეშ იმყოფებიან, რომ მათთან დაკავშირება დიდ პრობლემას წარმოადგენს.

„ფორუმი 18“ თავის ანგარიშში დასძენს, რომ: „აფხაზეთი თბილისის კონტროლს 1990 -იანი წლების დასაწყისში გამოეყო. ამიტომ ომის გამო ყველა ქართველი იძულებული გახდა აფხაზეთი დაეტოვებინა.

ათობიდან ათასი ეთნიკურად ქართველი აფხაზეთის გალის რაიონში, სამხრეთით ცხოვრობს. აფხაზეთის ხელმძღვანელებმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გააფრთხილეს იმის თაობაზე, რომ ისინი არ დაეხმარებიან ქართველ ბერ-მონაზვნებს. ერთადერთი ქართველი მღვდელი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მანამდე, სანამ კოდორს მიიტაცებდნენ, მამა პიმენ ქარდავა გახლდათ. იგი მსახურობდა იქ, სადაც დაიბადა, ანუ – გალის რაიონში. მამა პიმენი აპრილში გააგდო აფხაზეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ. აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროებამ მისი გაძევების ბრძანება გასცა, თუმცა ამ გაძევებაში შეტანილ წვლილს აფხაზეთის მხარე უარყოფს, ყოველ შემთხვევაში ნორვეგიულ-დანიური არასამთავრობო ორგანიზაცია „ფორუმ 18“- თან საუბრისას.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ნიუ-იორკი-ოსლო**

ფიქრები

# „კოდორში ახლაც ჩემი სახლია, თამარაშენში – ჩემი სახნისი“



**დიდი სამამულო ომის დროს იმდენად პატარა ვიყავი, რომ შეუძლებელი იყო ომის აღქმა. მაგრამ შემდგომ, ბავშვობის პერიოდში, ომი ჩემს ცხოვრებაში ბიძაჩემის სახელთან ერთად შემოვიდა. იგი 18 წლისა წავიდა ფრონტზე და აღარ დაბრუნებულა. ბებია მთელი ცხოვრება გლოვობდა ფრონტზე დაკარგულ სიყრმის შვილს, თან ელოდა... უსაზღვრო იყო დედის მოლოდინი, მთელი ცხოვრება გაგრძელდა.**

ხშირად ვოცნებობდი: ჭიშკართან ვდგავარ, ვხედავ, მოდის ჯარისკაცი მხარზე ჩემოდნით (რატომღაც ასე წარმომედგინა), მოდის და მიღიმის. ბიძას, რომელიც არასოდეს მინახავს, სურათით ვცნობ, გახარებული გავრბივარ: „ბებია, ბაბუა, კაკო ჩამოვიდა!“ მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მირაჟი იყო, რომელიც მალე ქრებოდა და მე რეალობაში ვბრუნდებოდი, რეალობა კი ის იყო, რომ დედისთვის ომი არ დამთავრებულა.

სიკვდილის წინ ბებიამ სასთუმალთან თავმოყრილი თვალცრემლიანი ოჯახის წევრები დაგვლოცა და სინანულით ჩაილაპარაკა, კაკო შვილო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენი ხელითაც რომ დამყროდა მიწაო.

ვინ იცის, რამდენი დედა წავიდა იმქვეყნად შვილისგან დაუტირებელი, ამ ომმა იმდენი ტკივილი, ჭრილობა დატოვა, რომ დღემდე მოუშუშებელია.

ამ უახლოეს წლებში კვლავ დადგა საქართველო განსაცდელის წინაშე. ომი სამაჩაბლოში, აფხაზეთში... ახალი სისხლისღვრა, აგრესია, შეტევა ცხინვალზე, გორზე, სრულიად საქართველოზე.

ეს აგრესია თავისი სისასტიკით მონღოლთა შემოსევის ასოციაციას იწვევს ჩემში, იმ განსხვავებით, რომ ისინი XII საუკუნეში თარეშობდნენ ჩვენს მიწაზე, დღეს კი XXI საუკუნის „ცივილიზებული“ სახელმწიფო, თანამედროვე, გამანადგურებელი, შემზარავი, მძიმე ტექნიკით აღჭურვილი, იმეორებს წინა საუკუნეების აგრესიას. დახოცილებისა და ლტოლვილებისაგან განსხვავებით, ჩვენ, ვისაც ფიზიკურად არ შეგვეხო ეს აგრესია, ფსიქოლოგიურ ომში ვიყავით ჩაბმული, და საერთოდ, რომ არა უფალი, ყველანი ფიზიკური განადგურების ზღვართან ვიდექით.

აგრესორი ისე გათავხედდა, რომ იგოეთთან დაგვიწესა საზღვარი... ერთმანეთს მოწყვიტა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო.

რას იზამ? გეუფლება შეურაცხყოფის, უმწეობის, სიბრაზის გრძნობა. გარეწარი შენს მიწაზე თარეშობს, შინ არ გვიშვებს, გვაღიზიანებს. ამ დროს ქართველთა ერთობა, დიდი სიბრძნე, წინდახედულობაა საჭირო. შეცდომა რომ არ ჩაიდინო, ასჯერ მოზომე და ერთხელ გასჭერის პრინციპით უნდა იმოქმედო, გაავებული ნადირი რომ არ გაახელო, იმის მიზეზი არ მისცე, თავისი ბოროტება შენ გადმოგაბრალოს.

დიახ, ომში დიდი სიბრძნე და სიმამაცეა საჭირო. ჩვენს დიდებულ მეფე დავით აღმაშენებელს, ორივე ეს თვისება აღმატებულად ჰქონდა, ბრძოლის ჟამს წიგნები დაჰქონდა თან. განსაცდელის წუთებში, იქნებ ყველაზე საჭირო, ერისთვის სასიცოცხლო კითხვებზე პასუხს მათში პოულობდა.

ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, როგორც ყოველთვის, ერი სიწმინდითა და სიბრძნით გამოაფხიზლა. მან ერთადერთმა პირველმა მოითხოვა დერეფანი დაჭრილებისა და მიცვალებულების გამოსაყვანად. დაღუპულთათვის პარაკლისი გადაიხადა და ერმა ქრისტიანულად უნდა იგლოვოს თავისი შვილებიო, შეგვახსენა...

უწმინდესმა და უნეტარესმა ქადაგებაში ბრძანა, ღმერთმა დალოცოს ქართველები და ოსებიო! ჭეშმარიტად. ხალხი, მშვიდობიანი მოსახლეობა ხელისუფალთა აგრესიაზე არ უნდა აგებდეს პასუხს. ილია მეორის ყოველი სიტყვა, როგორც ყოველთვის, იყო ბრძნული, მოზომილი და პრინციპული. საქართველო ერთიანი იქნებაო, იქადაგა, მისი ბაგით უფალი გვესაუბრება ქართველებს.

ჩვენ „მოყმე და ვეფხვის“ ბალადის ავტორი ქვეყნის შვილები ვართ. ეს ბალადა, მისი დედააზრი, ჩვენი ერის დიდსულოვნებას, ჰუმანურობას გამოხატავს.

სამძიმარი ვუთხრათ ომში დაღუპული ვაჟკაცების დედებს, რომლებისთვისაც ომი არასოდეს დამთავრდება. არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ქალბატონებზე ნანი ბრეგვაძესა და თამრიკო ჭოხონელიძეზე. ეს ქალბატონები ერის იდეალი, კდემამოსილებისა და ნიჭიერების სიმბოლო გახლავთ. გამაოცა მთელი რუსი ხალხის მათეულმა შეფასებამ. მესმის მათი განცდები, სტრესი, რომლებიც ჩვენ ყველამ ერთად გადავიტანეთ, ეჭვი არ მეპარება, რომ მათი სიტყვები უდიდესი ემოციების ფონზე ითქვა: და მაინც, ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, ნუ გავაიგივებთ რუსეთის მთავრობას ხალხთან. ვერ წარმოვიდგენ რუსეთის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც უსაყვარლეს მომღერალს ნანი ბრეგვაძეს „ვარსკვლავი“ გაუხსნა, ქართველთა გენოციდი უნდოდეს...

ვერც მავანთა იმ აზრს დავეთანხმები, რომლებიც ამბობენ, პუშკინის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, ჩეხოვის წიგნები „გავაძევოთ“ საქართველოდანო...

განვლილმა განსაცდელმა, მტრის აგრესიამ არ უნდა გაგვაბოროტოს, პირიქით – მშვიდობის ფასი უნდა გვასწავლოს. ნათქვამია, ბოროტება ბოროტებით არ მოიბანებაო. ხალხური სიბრძნე გვმოძღვრავს, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“. გვწამდეს, სიკეთე არ იკარგება.

თბილისში, ერთ დაწესებულებაში ქართველ თანამშრომელს გერმანელმა ძვირად ღირებული წამალი ჩამოუტანა და შეძლეულ ფულზე უარი უთხრა. თურმე იმ გერმანელის პაპა დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი თბილისში ჩამოუყვანიათ. გერმანელ ტყვეებს მშენებლობაზე ამუშავებდნენ. ქართველ დედებს, თურმე ყოველდღე მიჰქონდათ მათთვის საკვები... აი, ამ დიდმა სიკეთემ უკვალოდ როდი ჩაიარა. ის გერმანელი არა მარტო თვითონ იყო ქართველების მადლიერი, ეს მადლიერება და სიყვარული თავის შთამომავლობასაც გადასცა.

ხალხი არასოდეს იწყებს ომს. ვიცნობ მშვენიერ აფხაზ გოგონას მადინა კაპბას. იგი დედით ქართველია, ძალიან პატარას დაელუპა დედა და მამა. გოგონა და მისი ძმა ქართველმა ბებიამ და ბაბუამ გაზარდეს. წლების შემდეგ აფხაზმა მამიდამ მოძებნა ძმისშვილები და სოხუმში მიიწვია. აფხაზი ნათესავები დახვდნენ, გაიშალა საზეიმო სუფრა, აფხაზებმა ქართველი ნათესავები, მეგობრები, მეზობლები მოკრიბეს, ამ დროს თვალებზე ცრემლი უზრწყინავდათ... დიდი პატივისცემით დალიეს მადინას მშობლების სადღეგრძელო...

ჩვენ ქართველებთან გასაყოფი არაფერი გვაქვსო, ესეც თქვეს. ბოლოს აფხაზებმა ქართული სიმღერები დაამღერეს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რუს მფრინავს, რომელმაც გორი დაბომბა, ჩვენს საავადმყოფოში უმკურნალეს. მედპერსონალმა შეასრულა პროფესიონალური მოვალეობა. აგრესორმა საავადმყოფოში გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები წაიკითხა და ამბობენ, საქართველოს ისტორიით დაინტერესდაო... იქნებ სიკეთის ნაპერწკალი მასშიც აინთოს.

ცივილიზებული სამყაროს თანადგომამ იხსნა საქართველო განადგურებისაგან.

საქართველო მრავალჯერ ჩავარდნილა განსაცდელში. გადავხედოთ ჩვენი ისტორიის სისხლის სავსე ფურცლებს.

მონღოლთა ყაენმა არღუნმა ღალატის საბაბით თავისთან იხმო მეფე დიმიტრი. თუ არ მოხვალ, შენს სამეფოს შემოვესევი და ნაცარტუტად ვაქცევო. საგონებელში ჩავარდა მეფე. წასულიყო, არღუნი უთუოდ მოკლავდა, არადა – მამულს აუოხრებდა. მეფემ წასვლა გადაწყვიტა. ევედრებოდნენ, ნუ წახვალ, შევებრძოლოთ მტერს, ჩვენ მზად ვართ, ერთ დღეს გავწყდეთ შენთვისო. არაო, უპასუხა მეფე დიმიტრიმ, მტერი მეტად ძლიერია, ჩვენ ვერ შევაკავებთ და საქართველო ცრემლისა და სისხლის ზღვად იქცევაო. რა წინდახედულება, სიბრძნეა ჭაბუკი მეფის სიტყვებში!

თავდადებულმა მეფემ სიცოცხლის ფასად იხსნა ქვეყანა განადგურებისაგან.

კეთილი, გულწრფელი სურვილით მინდა, ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფალნი ხშირად იხედებოდნენ ჩვენს ისტორიაში. უცხოეთში განსწავლულებს მშობლიური ფესვების სიახლოვე მხოლოდ გააძლიერებდა... ჩვენი წინაპარი მეფეების დარად რატომ არ ვიფიქრეთ მტრის სიძლიერეზე, სიმრავლეზე ბრძოლის დაწყების წინ? რატომ გავიმეტეთ ასე ჩვენი გენოფონდი?

როგორც ქალს, მაკრთობს ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლი... მაგრამ არც მტრისგან ძლეული მეომრების ბედი მახარებს.

დიახ, არაფერი გვაქვს საამაყო და საბაქიბუქო: მტერი ჯერ მთლიანად არ გასულა, გაერთიანების ნაცვლად უფრო დავნაწევრდით, დავკნინდით...

„კოდორში ახლაც ჩემი სახლია, თამარაშენში – ჩემი სახნისი“, სრულიად საქართველო იმეორებს დღეს პოეტ ლაშა ნადარეიშვილის ამ სიტყვებს.

ვინ დაგვიბრუნებს?!

**ლინა ბარათაშვილი**

სახალხო დამცველის შუალედური ანგარიში

# ერგნეთში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა საერთოდ ვერ მოხერხდა

## უსინათლოები და ყრუ-მუნჯები განსაკუთრებული სისასტიკით დახოცეს



**საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მუშაობს ანგარიშზე, რომელიც აგვისტოს ომის შედეგებს წარმოაჩენს. ამჯერად კი უკვე მზადაა სახალხო დამცველის შუალედური ანგარიში, სადაც ასახულია კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, ჯანდაცვის სისტემის დანაკარგები და დევნილთა მდგომარეობა.**

სახალხო დამცველის აპარატმა კონფლიქტის ზონის 31 სოფლის პირველადი შეფასება წარმოადგინა. ყველა ამ სოფელში საშუალოდ და მძიმედ დაზიანებულია 1200-მდე სახლი, ნაწილობრივ დაზიანებულია 15-მდე სკოლა. გაძარცულია ამბულატორიები და ხილის გადამამუშავებელი ქარხანა ტყვიავში, დარბეულია საკრებულოს და პოლიციის შენობები, მოპარულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

საომარი მოქმედებების შედეგად, შესწავლილ სოფლებში გარდაცვლილია 49 და დაჭრილია 53 მშვიდობიანი მოქალაქე. გარდაცვლილთაგან ქალები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (უსინათლოები, ყრუ-მუნჯები) და მამაკაცები მოკლული არიან განსაკუთრებული სისასტიკით. მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ცეცხლის გახსნის შემთხვევებიც აღინუსხა.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი სოფლების უმრავლესობა უკვე მარაგდება სურსათ-სანოვაგით და სასმელი წყლით. სოფლებში ჰუმანიტარული ტვირთი ყველაზე მეტი რაოდენობით – 9-ჯერ, ხოლო ყველაზე მცირე – ერთხელ შევიდა. თუმცა რამდენიმე სოფელში, მათ შორის ერგნეთში, საერთოდ ვერ მოხერხდა ტვირთის შეტანა.

სურსათი, მედიკამენტები და პირველადი მოხმარების საგნები ძირითადად შეაქვთ გამგეობებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციების მისიებს, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს.

ამბულატორიები და საავადმყოფოების დიდი ნაწილი უსაფრთხოების დაბალი დონის და ინფრასტრუქტურის დაზიანების გამო არ ფუნქციონირებს.

შესწავლილ სოფლებში მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები იმყოფებიან. მათ ქრონიკული დაავადებები აწუხებთ და მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროებათ.

15-მდე სოფელში მოსახლეობამ იპოვა აუფეთქებელი ჭურვები, რომელთა გაუვნებელყოფაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

შესწავლილი სოფლების უმრავლესობაში შეინიშნება შეიარაღებული ბანდების გადაადგილება და მაროდიორობის ფაქტები. ხშირია მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა, მიტაცება და მასზე ძალადობა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში შეხვდნენ ომის დროს გამოქცეულ მოსახლეობას, დევნილები ყურადღებას ამახვილებდნენ მკვლელობებზე, დაბომბვებზე, გატაცებებსა და მაროდიორობის ფაქტებზე. რუსი ჯარისკაცების გარდა, მოსახლეობას განსაკუთრებული სისატიკით ექცეოდნენ ოსი და კაზაკი ბანდფორმირებების წევრები.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ოსი სეპარატისტების ტყვეობიდან გათავისუფლებული მოსახლეობა მოინახულეს. მათ განაცხადეს, რომ დატყვევების დღიდან ცხინვალის დასუფთავებას აიძულებდნენ, ამარხვინებდნენ ქართველ სამხედროებს და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ტყვეებს მუდმივად სცემდნენ და აშიმშილებდნენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დევნილთა 57 კომპაქტურ ჩასახლებაში ჩაატარეს მონიტორინგი და ცალკე მაცხოვრებელი ოჯახები მოინახულეს. როგორც გაირკვა, დევნილების უმრავლესობას საწოლები, ლეიბები, საკვები და ტანსაცმელი, აგრეთვე, პირველადი მოხმარების საგნები არ მიუღიათ. ისინი ინფორმირებული არ იყვნენ უფასო სამედიცინო მომსახურებისა და საჭირო მედიკამენტების მიღების შესახებ. ოჯახებში მყოფ დევნილებს კი დღემდე არანაირი დახმარება არ მიუღიათ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვინ მართავს რუსეთს?




**კრემლის მიერ მიღებული ბნელი და რთული გადაწყვეტილებების გარკვევა საკმაოდ რთულია. ხელისუფლებისათვის სასახლის შიდა ბრძოლა, ძალოვანი სტრუქტურების მძიმე პარანოი და კორუფციის გრძელი ხელები მზად არიან ყველაფერი თავდაყირა დააყენონ, მათ შორის ყველაზე რაციონალური და მარტივი დასკვნებიც.**

მაგრამ ჭკუის სასწავლებელი შეიძლება იყოს საჯარო განცხადებებიც. და საქართველოს კრიზისთან დაკავშირებით რუსეთის ხელმძღვანელობა დასავლეთისკენ აგზავნის გარკვეულ სიგნალებს.

გადამწყვეტი საკითხი რუსეთის შესახებ ისაა, თუ ვინ დგას ხელისუფლების სათავეში?

სტანდარტული პასუხია – პრეზიდენტი მედვედევი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. მან და მხოლოდ მან გასცა ბრძანება რუსეთის ჯარებისადმი გადაელახათ საზღვარი და მიეყენებინათ დარტყმა საქართველოსთვის სამხრეთ ოსეთზე მისი თავდასხმის პასუხად.

მაგრამ პრეზიდენტის ხელისუფლება მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. ხოლო თუ რა მღვრიე დინებებია წყლის სიღრმეში, ეგრე ცხადი არ არის.

დიმიტრი მედვედევი ამბობს, რომ მისთვის მოულოდნელი იყო ყველაფერი და აღიარებს თავის გამოუცდელობას.

„მე შვებულებას ვატარებდი ვოლგაზე, როდესაც დამირეკა თავდაცვის მინისტრმა“, – აღნიშნა მან „ვალდაის კლუბის“ წევრებთან შეხვედრაზე, რომელშიც შედიან დასავლელი მეცნიერები და ჟურნალისტები და რომლებიც სპეციალიზებული არიან რუსეთის საკითხებზე.

„არასოდეს დამავიწყდება ის ღამე, ვინაიდან კარგად მესმის ბრძანების შედეგები საპასუხო ცეცხლის გახსნის შესახებ, განსაკუთრებით სიტუაციაში მაშინ, როდესაც პრეზიდენტის პოსტზე ვიმყოფებოდი სულ 95 დღე“, – თქვა მედვედევმა.

რას ლაპარაკობს ექს-პრეზიდენტი, დღეს კი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ასევე ესწრებოდა შეხვედრას?

– „რა ავტორიტეტიც არ უნდა მქონდეს, ვისაც უნდა ველაპარაკებოდე, არც ჯარები, არც ტანკები არ დაიძვრებოდნენ ადგილიდან ერთი სანტიმეტრითაც კი პრეზიდენტ მედვედევის ბრძანების გარეშე“, – შეეცადა ვლადიმერ პუტინი შეემცირებინა თავისი მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ ვკითხეთ მისი როლის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ მოვლენებში მისი მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო.

## გამოსვლა დუეტით

ისმება კითხვა: ვინ წარმართავს სინამდვილეში პოლიტიკას – პრეზიდენტი თუ პრემიერი?

ჩვენი შეხვედრების სცენარი და ხანგრძლივობა თითოეულ მათგანთან დამახასიათებელი იყო ამ თვალსაზრისით.

ორი სამსაათიანი აუდიენცია, ორი ელეგანტური სადილი, ორი განცხადება რუსეთის ტელეკამერების წინ საუბრის დაწყებამდე და ორი ცისფერი კოსტიუმი შესაბამისი ტონის ჰალსტუხებით.

ეს ყველაფერი, ეტყობა, უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ მათ თანაბარი სტატუსი აქვთ – ორმაგი ხელმძღვანელობა, რომელიც მართავს სახელმწიფოს ტანდემში.

ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფო ჩინოვნიკმა სპეციალურად აღნიშნა ეს გაორება, იგი გამუდმებით ასახელებდა ორივე პიროვნებას ერთად, ერთი ამოსუნთქვით.

პოლიტიკური გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იყოს ორივესთან, განმარტა მან. მაგრამ რა არის ამაში განსაკუთრებული? წყვილად მუშაობა მხოლოდ ამტკიცებს და არ ასუსტებს მართვის სისტემას, ვინაიდან მოითხოვს ორივესაგან „მწვანე შუქის“ მიღებას.

თავდაპირველად ჩვენ შევხვდით პუტინს. თითქმის მთელი საუბარი საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა.

იგი იწვოდა მოუთმენლობით, გამოეთქვა თავისი აზრი, გამოიყურებოდა თავის თავში დარწმუნებულად, რომელიც ჩართულია საქმეებში და პასუხისმგებელია მათზე. რისხვა იმასთან დაკავშირებით, თუ, მისი აზრით, როგორ ეპყრობა რუსეთს დასავლეთი, იმდენად ცხადი იყო, რომ გვეჩვენებოდა, თითქოს მისი პიროვნული უსიამოვნების მამოძრავებელი არის სახელმწიფოს მთელი პოლიტიკა.

ძნელი იყო დაგვეჯერებინა, რომ იგი უკვე აღარ არის პრეზიდენტი.

როდესაც ის ლაპარაკობდა პრეზიდენტ მედვედევზე, იქმნებოდა უცნაური შეგრძნება.

გეჩვენებოდა, რომ პუტინი ყურადღების აქცენტს აკეთებდა მათ შორის სხვაობაზე, თითქოსდა გაგრძნობინებდა პრინციპს „კარგი პოლიციელი, კარგი პოლიციელია“.

თავის შესახებ ის ამბობდა, როგორც „კონსერვატორზე“ და მისთვის უჩვეულო თვითდამცირების აჩრდილით. მან აღიარა, რომ მისი მიდრეკილება უხეში გამონათქვამებისადმი ზოგჯერ ნაკლოვანებად აღიქმება.

ამავე დროს დიმიტრი მედვედევს მან უწოდა ჭკვიანი, ახალგაზრდა, კარგად განათლებული ადამიანი, თანამედროვე და – ეს მან ორჯერ აღნიშნა ხაზგასმით – ლიბერალური შეხედულებებით.

## მორალური უპირატესობა

ითქვა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა დაუშვეს დიდი შეცდომა, როდესაც ნება მისცეს კონფლიქტის გაღვივებაზე, და კიდევ მეტ შეცდომას დაუშვებენ, თუ არ წავლენ კომპრომისზე, რასაც რუსეთი ცდილობს.

„როდესაც მე ამ მუშაობას შევუდექი, არ მეგონა, რომ მომიწევდა მკვეთრი გამონათქვამები, მაგრამ პრეზიდენტისათვის არის მომენტები, როდესაც მას სხვა არჩევანი არ გააჩნია“, – აღნიშნა დიმიტრი მედვედევმა.

„მე სულაც არ მინდა, რომ კავკასიის კრიზისმა ხელი შეუშალოს რუსეთის თანამშრომლობას ევროპასთან და შეერთებულ შტატებთან“, – დაუმატა მან, და აღნიშნა, რომ მას ეზიზღება „ომის პრეზიდენტის“ როლი.

მაშ რა უნდა ამ ეტაპზე რუსეთს დასავლეთისგან? მთავარი ნიშანი ის არის, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ სურს კომპრომისზე წასვლა, იგი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შექმნილ კრიზისში აქვს მორალური უპირატესობა და ვერ ხედავს საბაბს დათმობისათვის.

რუსეთისათვის ეს საკუთარი 11 სექტემბერია, გვითხრა დიმიტრი მედვედევმა, ესე იგი გარდამტეხი პუნქტი ეროვნულ პოლიტიკაში და გარესამყაროსთან ურთიერთობაში.

ეს რწმენა წითელ ზოლად გასდევდა მთელ ჩვენს საუბარს სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, ლოიალურ მეცნიერებთან და ჟურნალისტებთან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი იძულებული იყო გამოეყენებინა სამხედრო ძალები და აეყვანა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავისი ფრთების ქვეშ.

ნებისმიერი მითითება იმაზე, რომ რუსეთმა ცბიერად მოაწყო სათაგური, სადაც დაუფიქრებლად მოხვდა საქართველო, აღინიშნებოდა, როგორც აშკარა სიცრუე.

საინტერესოა, რომ პუტინიც და მედვედევიც, როდესაც საუბარი შეეხებოდა პრეზიდენტ ბუშს, ლაპარაკობდნენ ფრთხილად და პატივისცემით.

**ბრიჯიტ კენდალი**

BBC RUSSIAN.com

# რუსეთი საქართველოსთან ომის ნადავლის დემონსტრირებას ახდენს

**რუსეთის არმიამ მოაწყო ნადავლის გამოფენა, რომელიც წამოღებულია საქართველოდან კონფლიქტის მსვლელობის დროს. გამოფენა გაიხსნა შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმში.** ამით მოსკოვს სურს დაადასტუროს თავისი მტკიცებანი იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები და დასავლეთი პასუხისმგებლები არიან საქართველოს წაქეზებაში თვითგამოცხადებულ რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის დროს. ათი დღის წინათ მოსკოვმა ოფიციალურად აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და, როგორც გამოფენა გვიჩვენებს, იმის ნაცვლად, რომ მოუსმინოს დასავლეთის კრიტიკას თავისი მოქმედების შესახებ, ცდილობს გამოიყენოს სამხედრო ალაფი პროპაგანდისტული მიზნებისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილია იარაღი, სამხედრო ფორმა და პირადი ნივთები, რომლებიც ეკუთვნოდა საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ და დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს. აგრეთვე დაღუპული ქართველი ჯარისკაცების დამწვარი და დამახინჯებული სხეულების ნატურალისტური ფოტოგრაფები.

მუზეუმის ექსკურსიამძღოლი, რომელიც უყვებოდა რუს დამთვალიერებლებს ექსპოზიციის შესახებ, ჩერდებოდა დაღუპული ქართველი ჯარისკაცის პირადი ფოტოგრაფიების სტენდის მახლობლად. ერთ-ერთ მათგანზე იგი ვახშმობს ნათესავებთან ერთად, მეორეზე – ეხვევა შავკანიან ადამიანს.



„შეხედეთ, აი ქართველი ჯარისკაცი დგას სამხრეთაფრიკელი შავკანიანის გვერდით, – ამბობს ექსკურსიამძღოლი, – ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში მსახურობს ბევრი სამხრეთ აფრიკელი და იგიც ერთ-ერთი მათი ინსტრუქტორია. ექსპოზიციაში წარმოდგენილია აგრეთვე სახელმძღვანელოების კრებული სათაურით „ამერიკული ენის კურსი. დონე IV“. მუზეუმის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ იგი ამოღებულია ქართველი ჯარისკაცის საკუთრებიდან სამხრეთ ოსეთში, თუმცა მეტად საეჭვოა, რომ ჯარისკაცს თან ეტარებინოს ბრძოლის ველზე სქელი წიგნი ცხინვალში.

თავად მუზეუმში წარმოდგენილია საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი ექსპონატები, რომლებიც გვიამბობენ მეორე მსოფლიო ომის შესახებ. მუზეუმის შესასვლელთან კვარცხლბეკზე დგას იმ ომისდროინდელი ტანკი, აგრეთვე ათი ფუტი სიმაღლის ლენინის ბიუსტი, რომელიც მიესალმება მომსვლელებს მთავარ დარბაზში შესასვლელთან. ექსპოზიციის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ისტორიის დამახინჯებულ და შეუმოწმებელ საბჭოთა ვერსიას – მაგალითად, დარბაზში, რომელიც ეძღვნება 1920-იანი წლების საბჭოთა არმიის შექმნის პერიოდს, ხსენებაც კი არ არის ლევ ტროცკისა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წითელი არმიის ჩამოყალიბებაში. ის მოგვიანებით მოჰყვა სტალინის რისხვის ქვეშ და მისი სახელი გაქრა ისტორიის საბჭოთა წიგნებიდან. ექსპოზიციაში, რომელიც ეძღვნება მეორე მსოფლიო ომს, ლამაზადაა წარმოდგენილი ომის სადავო მომენტები. თითქმის არაფერია ნათქვამი ავღანეთსა და ჩეჩნეთში ხანგრძლივი და ძვირადღირებული კონფლიქტების შესახებ.

ასეთი მიდგომა გამოიყენება, როგორც ჩანს, ქართული კონფლიქტისადმი მიძღვნილი ექსპოზიციის შედგენის დროსაც. სავსებით საბჭოთა დროის სულისკვეთებით შეიძლება აქ ნახო პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ბევრი ფოტოგრაფია, მისი სიტყვებისა და ბრძანებების ტექსტები, რომლებიც გაცემულია კონფლიქტის დროს. ექსპოზიციაში აშკარად იგრძნობა ანტიდასავლური ნოტები, აქ წარმოდგენილია ნატოს ჯარების ამუნიციებისა და ფორმების რამდენიმე საგანი, აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების სიები, რომლებიც ეხმარებოდნენ საქართველოს შეიარაღებაში.

ზოგიერთი ექსპონატის აშკარა ბუნება აჩვენებს ღრმა გათიშულობას, რომელიც წარმოიქმნა რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის შედეგად გასულ თვეში. ორივე მხარე წარმოადგენდა თავის წარმატებებს საყოველთაო ხილვისათვის: როდესაც საქართველომ ჩამოაგდო ოთხი რუსი მფრინავი კონფლიქტის პერიოდში, მან აჩვენა ორი მათგანის სხეული ეროვნული ტელევიზიით, ხოლო გაზეთმა „ინდეპენდენტმა“ მოგვიანებით მიიღო შესაძლებლობა, აეღო ინტერვიუ ორი გადარჩენილი მფრინავისაგან.

ახლა დადგა რუსეთის რიგი – აჩვენოს ომის ნადავლი, რომელშიც მან უსიტყვოდ გაიმარჯვა. მოსკოვი უკმაყოფილია იმით, თუ როგორი გაშუქება მიიღო კონფლიქტმა დასავლეთში, დაბეჯითებით გაიძახის, რომ მისი პროვოცირება მოახდინა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დასავლეთის მდუმარე თანხმობით.

გასულ კვირას მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი „მუდმივად და საგულდაგულოდ“ მოახდენს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, რომლებსაც აქვთ ცუდად მომზადებული, დაბალანაზღაურებადი და დაუძლურებული არმიის რეპუტაცია. „არავითარი ეჭვი არაა იმაში, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო კავკასიის მოვლენებით, – აღნიშნა მან, – ეს გახდა ამოცანა ნომერი ერთი მომდევნო რამდენიმე წლის პირველი რიგის ამოცანათა შორის“.

**შონ უოკერი**

THE INDEPENDENT

◎ კვალი ნათელი

# დასაბამი მისცა იმ მეცნიერულ წანამძღვრებს, რომლებსაც დღეს მისი მეგობრები და მოწაფეები აგრძელებენ

## დავით კვაჭაძე – მკვლევარი, მეცნიერი, პედაგოგი



**ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ფარმაკოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ დავით კვაჭაძეს 2008 წლის 20 სექტემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. იგი ძალიან ადრე – 54 წლის ასაკში, მეცნიერული და აკადემიური საქმიანობის ალმავლობის პერიოდში – გარდაიცვალა.**

დავით კვაჭაძე 1928 წელს დაიბადა საზოგადო მოღვაწისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის ალექსანდრე კვაჭაძისა და ნინო ლეჟავას ოჯახში; 1945 წელს წარჩინებით დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის № 1 საშუალო სკოლა, ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით და მეცნიერული ინტერესით, იყო ერთ-ერთი პირველი სახელობითი სტიპენდიატი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1951 წლიდან, ფარმაკოლოგიის კათედრის ასპირანტი გახდა და პროფ. გიორგი ცქიმანაურის ხელმძღვანელობით შეუდგა წარმატებულ სამეცნიერო მუშაობას, მისი ცხოვრება და საქმიანობა ორგანულად დაუკავშირდა ექსპერიმენტულ კვლევებს, რომელთაც აქტიურად აწარმოებდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში და, რა თქმა უნდა, უპირველესად – ფარმაკოლოგიის კათედრაზე. სწორედ კათედრაზე განვლო მან პროფესიული ზრდის ყველა საფეხური – იყო კათედრის ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი და ბოლოს – 1983 წლამდე, გარდაცვალებამდე – კათედრის გამგე.

დ.კვაჭაძე იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი და მრავალი ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, შესანიშნავი ექსპერიმენტატორი, მიღებული შედეგების საინტერესო ინტერპრეტაციის უნარით დაჯილდოებული. მის მიერ ჩატარებული კვლევები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალობით და, ფარმაკოლოგიური ასპექტების გარდა, ხშირად მოიცავდა კვლევის პათოფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ბიოფიზიკურ ელემენტებს.

დ. კვაჭაძის ძირითადი მეცნიერული მიმართულებებიდან აღსანიშნავია გულ-სისხლძარღვთა სისტემის და გერიატრიული ფარმაკოლოგია. ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ჩაატარა საინტერესო კვლევები ჰემორაგიული შოკური მდგომარეობის ფარმაკოლოგიური კორექციის მექანიზმებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1954 წ.ძ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია დ. კვაჭაძის ნაშრომები, რომლებიც ეხება ფარმაკოლოგიური საშუალებების მოქმედებას სისხლის მიმოქცევის რეგულაციის ცენტრალურ და პერიფერიულ მექანიზმებზე. ნაშრომთა სოლიდური ციკლი მიძღვნილია ფარმაკოლოგიის გერონტოლოგიური და გერიატრიული საკითხებისადმი. მეტად საინტერესოა ამ მხრივ მისი კვლევები, რომლებშიც ასახულია ანტიარითმიული საშუალებების მოქმედების მექანიზმები ასაკობრივ ასპექტში. დ.კვაჭაძემ პირველმა დაადგინა სხვადასხვა ასაკის ცხოველებში საგულე გლიკოზიდებით ინდუცირებული არითმიების მიმდინარეობის თავისებურება და მათი ეფექტური კუპირების გზები. კერძოდ, მან გამოავლინა იუვენილურ და ახალგაზრდა ასაკის ცხოველებში გლიკოზიდური ინტოქსიკაციის დროს ტრანსმისორული არითმიების პრევალირება ხანდაზმული ასაკის ცხოველებთან შედარებით, რომლებშიც ეს უკანასკნელი ექსტრასისტოლური და პაროქსიზმული ტაქიკარდიის ხასიათისაა. ამ ანტიარითმიული საშუალებების მოქმედების მექანიზმების შედარებითი დახასიათებისას სხვადასხვა გენეზის არითმიების კუპირებასთან დაკავშირებით გამოთქვა საინტერესო მოსაზრება ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, პირველი ჯგუფის ანტიარითმიული საშუალებების შესაძლო პროარითმიული თვისებების შესახებ (მექსილეტინი, ტოკაინიდიძ, რაც შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო მათ მოქმედებასთან შემდგომში (სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების შემდეგძ მტკიცე დადასტურება ჰპოვა ე.წ. გახანგრძლივებული კომპლექსის სახით, რომელიც თანამედროვე კარდიოლოგიაში „ტორსადე და პოინტეს“ სახელწოდებით არის ცნობილი და ხშირად ლეტალობის მიზეზს წარმოადგენს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი დავითის ღვაწლი ცენტროგენული გენეზის არითმიების განვითარების მექანიზმების შესწავლასთან დაკავშირებით. მან პირველმა შეიმუშავა ე.წ. ნათხემისმიერი არითმიის მოდელი ფასტიგიალური ბირთვის ელდენით გაღიზიანების მეთოდით. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელზე 1979 წელს დავით კვაჭაძეს მიენიჭა საკავშირო საავტორო მოწმობა გამოგონებისთვის „გულის არითმიების მოდელირების მეთოდი“. ამ აღმოჩენას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს ნათხემის დაზიანების ადრეული დიაგნოსტიკის თვალსაზრისით სპეციფიკური კლინიკური სიმპტომატიკის მანიფესტირებამდე.

დ.კვაჭაძეს შესანიშნავი ალღო ჰქონდა მეცნიერების ახალი მიმართულების განვითარების თვალსაზრისით. მისი თაოსნობით თსსუ-ის ფარმაკოლოგიის კათედრაზე ყოფილ სსრკ-ში პირველად ჩაეყარა საფუძველი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების – ენკეფალინების სინთეზური ანალოგების ფარმაკოლოგიური ეფექტის შესწავლას. დ.კვაჭაძის ცდებით დადგინდა მეტენკეფალინის და ლეიენკეფალინის განსხვავებული ეფექტები სისხლის მიმოქცევის ცენტრალურ რეგულაციაზე და სტრესული სიტუაციების დროს. ბატონი დავითის ნაშრომთა ბოლო ციკლი მიძღვნილი იყო მაოს როლისადმი არითმიებისა და ჰიპერტენზიული მდგომარეობების ფორმირებაში, თუმცა, სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ მნიშვნელოვანი კვლევის სერიის დამთავრება.

ბატონი დავითი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან როგორც ბრწყინვალე ფარმაკოლოგი – მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი და მაღალი ერუდიციის ადამიანი, რითაც აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებამ. მან ღირსეული კვალი დატოვა თავისი მოღვაწეობით არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და დასაბამი მისცა იმ მეცნიერულ წანამძღვრებს, რომლებსაც დღეს მისი მეგობრები და მოწაფეები აგრძელებენ.

**გიორგი თურმანაული,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ნიკოლოზ გონგაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ ინფორმაცია

### კოკოითმა ოსებს გადასახადები მოუხსნა

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა „რესპუბლიკის“ მთელი მოსახლეობისთვის 2008 წლის 31 დეკემბრამდე უფასო მომსახურების ჩამონათვალი მოიწონა, – წერს სააგენტო „ინტერფაქსი“.**

**როგორც სააგენტო რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, ნუსხაში შედის კომუნალური გადასახადები, სამედიცინო მომსახურება, განათლება და ტრანსპორტით მომსახურება.**

**„ინტერფაქსის“ ცნობით, 12 აგვისტოდან სამხრეთ ოსეთში 32 837 ადამიანი დაბრუნდა. სამკურნალო დაწესებულებებში იმყოფება 167 დაზარალებული, მათ შორის – 17 ბავშვი.**

### მაპის მინიჭებაზე ჯერჯერობით თავს იკავებენ

**ბუქარესტის სამიტზე ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი; შემდეგი ნაბიჯი – ქვეყნისთვის გაწევრების კანდიდატის სტატუსის მინიჭებაა, – განუცხადა ჟურნალისტებს ნატოში დანიის ელჩმა პერ პოლსენ-ჰანსენმა.**

**მისი თქმით, საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებასთან დაკავშირებით მსჯელობა უახლოეს თვეებში გაგრძელდება, დეკემბერისთვის დაგეგმილ ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტამდე.**

**ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა მოხდება დეკემბერში, – დასძინა პერ პოლსენ-ჰანსენმა.**

**მისივე თქმით, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წევრები საქართველოში მნიშვნელოვან და საინტერესო შეხვედრებს მართავენ.**

ინტერპრესნიუსი

◎ თვალსაზრისი

# „ასეა საჭირო და... მიტომ“

## ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ

**რუსეთის აგრესია საქართველოში წინასწარ დაგეგმილი იყოო, აცხადებენ ჩვენი პოლიტიკოსები და ამის დასასაბუთებლად რამდენიმე თვის წინათ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული სამხედრო მანევრები მოჰყავთ, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია ერთი ფაქტისათვის, რომელიც ამ აგრესიის შედეგების რუსეთის მიერ დაკანონებას ეხება.**

ორიდე წლის წინათ რუსეთის დუმამ მიიღო კანონი რუსეთის ფედერაციაში ახალ წევრთა მიღების წესის შესახებ და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობა გამოცხადებული ჰქონდათ და „ბოროტების იმპერიის“ წევრობისკენ მიილტვოდნენ.

უეჭველია, ახალი რუსული კანონი გათვლილი იყო მათ პოლიტიკურ მხარდაჭერასა და წაქეზებაზე, თანაც, ამ „სახელმწიფოებს“ რუსეთში შესაძვრომად პოლიტიკური „როკის გვირაბი“ გაუთხარეს, თორემ რუსეთის მეზობელ სახელმწიფოთა შორის არ მეგულება ქვეყანა, რომელიც ისურვებდა, შემატებოდა რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა რიცხვს, რომელთაც იმდენი ავტონომიურობა აქვთ, რამდენიც ჩვენს გურიას, კახეთს ან სამეგრელოს. საინტერესოა, განიხილავს თუ არა რუსული პოლიტიკური ელიტა საკითხს, ფედერაციაში გაერთიანება მილიარდნახევრიანმა ჩინეთმა, ინდოეთმა ან იაპონიამ რომ სთხოვოს?

ბოლო ხანებში რუსეთის კავკასიურ ავტონომიებში – ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, იქნებ სხვაგანაც, საზოგადოების ერთ ნაწილში ტრიალებს აზრი, შეუერთდნენ ქართულ სახელმწიფოს, რაც, შესაძლოა, მათი თვითგადარჩენისთვის ბრძოლის დასაწყისი იყოს.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩრდილოკავკასიელი ერები აქტიურად უჭერდნენ მხარს „მოძმე აფხაზ ხალხს“ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში იმ იმედით, რომ აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათ გაუადვილდებოდათ რუსეთისაგან თავის დაღწევა. თორემ, თუ გავეცნობით ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ლიტერატურასა და კულტურას, დავინახავთ, რომ აფხაზებთან მათი „ძმობის“ კვალი თითქმის არ არის, მაშინ, როცა ქართველებთან ძმობის თემაზე ამ ერებს ბევრი რამ შეუქმნიათ.

აფხაზთადმი მათ მხარდაჭერას მეორე მიზეზიც ჰქონდა: ჩვენ, მათი აზრით, კავკასიის ჰეგემონმა ერმა, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ჩრდილოკავკასიელი მეზობლები, რომლებიც რუსეთს „შეუერთდნენ“ არა რომელიმე „გეორგიევსკის ტრაქტატით“ (ფორმალურად მაინცძ, არამედ ორმოცდაათწლიანი სისხლისმღვრელი ომის შედეგად, რომელშიც, ჩვენთვისაც და მათთვისაც, სამწუხაროდ, ქართველები რუსეთის მხარეზე იბრძოდნენ, რუსის ანაბარა მივატოვეთ.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის რღვევისა და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ჩვენი ეროვნული ლიდერები გამოთქვამდნენ მოსაზრებას კავკასიური კონფედერაციის შექმნის შესაძლებლობაზე, რამაც ჩრდილოკავკასიელ ხალხებს იმედი ჩაუსახა. ამ იდეის უმთავრესი სულისჩამდგმელი ზვიად გამსახურდია იყო. სწორედ ამიტომ შეიფარა სხვათაგან უარყოფილი ზვიადი ჩრდილო კავკასიამ, კერძოდ – ჩეჩნეთმა და არა სხვა ვინმემ. ჩვენ კი დავიხურეთ ქუდი და გამოვედით კავშირიდან, ანუ კონფედერაციაზე მეოცნებე ჩრდილოკავკასიელები გავწირეთ. ამით ისარგებლეს რუსულმა სპეცსამსახურებმა და ნაცადი მეთოდით ჩრდილოკავკასიელებს სატყუარასავით შეაჩეჩეს თავისი აგენტურისგან შეთითხნილი ე. წ. „კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია“, რომლის



რაზმებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ „აფხაზი ძმების გასათავისუფლებლად“.

საოცარია, რომ „აფხაზი ძმების“ მხარდამჭერ „კონფედერაციას“ პროტესტიც კი არ გამოუთქვამს „ჩეჩენი ძმების“ ხოცვა-ჟლეტაზე, „ინგუში ძმების“ დეპორტაციაზე ჩრდილოეთ ოსეთიდან, სადაც ისინი საკუთარ ისტორიულ მიწაზე ცხოვრობდნენ და ეს აგენტურული ორგანიზაცია დღესაც დუმს. ასინეთასი არ იყოს, ასეა საჭირო და მიტომ!

დიახ, ჩვენ ნაწილობრივ დამნაშავე ვართ ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მიმართ, მათი განაწყენებაც საფუძვლიანია და ვფიქრობ, აუცილებელია, აღვუდგინოთ მათ ნდობა ქართველთადმი. ამისთვის საჭიროა, გამოვიყენოთ ჩვენი „დიდი ძმისა და კეთილმოსურნის“ – რუსეთის პრეცედენტი, კოსოვოსი არ იყოს, და შევახსენოთ საქართველოს პარლამენტს, რომ დროა, მიიღოს კანონი საქართველოს შემადგენლობაში ახალ ავტონომიათა მიღების წესის შესახებ, ფედერაციულ ან კონფედერაციულ საფუძველზე, ხოლო მისაღებ სუბიექტთა ავტონომიურობის ხარისხი უნდა გადაწყდეს ამ სუბიექტებთან ურთიერთშეთანხმებით.

ღმერთმა გვაშოროს რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, მაგრამ რა იცი, რა ხდება, იქნებ დადგეს დრო და რუსეთმა აქეთ შემოგვთავაზოს, – ძმებო, ქართველებო, მომაშორეთ ეგ თქვენი ჩრდილოკავკასიელი ძმები, სამასი წელი რომ ვებრძვი და ვერ დავიმორჩილეო!

მოკლედ, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**ილია ბარამიძე**

### ჭადრაკი

## დაწინაურდა კოსტენიუკი

**ნალჩიკში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს.**

შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში საქართველოს 6 წარმომადგენელს უნდა ესასპარეზა, მაგრამ რუსულ აგრესიაზე პასუხად ჩვე-



ნებმა ყაბარდო-ბალყარეთში წასვლაზე უარი თქვეს. ქართველ დიდოსტატებს მხარი ჰოლანდიაში მცხოვრებმა თეა ლანჩავამ, ფრანგმა მარი სებაგმა და ამერიკელმა ირინა კრუშმაც აუბეს. მოჭადრაკეთა ამგვარ პროტესტს ჩემპიონატისთვის ხელი არ შეუშლია — ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა და კომპანიამ შეჯიბრება თითქმის ფინიშამდე მიიყვანეს — მხოლოდ ფინალური პაექრობა დარჩა დასამთავრებელი. აქ კი ერთმანეთს რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი და ჩინელი ჰოუ იფანი დაუპირისპირდნენ. ისინი ოთხ პარტიას ითამაშებენ. ორი რაუნდი უკვე უკან დარჩა. პირველი ხელი კოსტენიუკმა შავი ფიგურებით მოიგო, მეორე პარტიაში კი მეტოქეები დაზავდნენ. ამდენად, ანგარიშია 1,5:0,5 რუსი დიდოსტატის სასარგებლოდ.

### მძლეოსნობა

## ეთიოპელი ორგზის ჩემპიონი



**შტუტგარტში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან-პრის“ ფინალზე (ის ორ დღეს მიმდინარეობდა) ერთადერთი ეთიოპიელი მესერეტ დეფარი იყო, ორგზის ჩემპიონი რომ გახდა. შაბათს მან 5000 მეტრზე იმარჯვა, კვირას კი 3 ათას მეტრზე იპირველა. დეფარმა თავის კარიერაში ასეთი რამ მეორედ ჩაიდინა. მან ასეთი დუბლი 2005 წელსაც გააკეთა.**

უკვე მე-14 შეჯიბრებაა, დამარცხება რომ არ იცის 800 მეტრზე კენიელმა მორბენალმა პამელა ჯელიმომ. მართალია, მან შტუტგარტში სირბილის ტაქტიკა შეცვალა, სტარტიდან მაქსიმალური სისწრაფით არ გავარდა წინ, მხოლოდ ბოლო სამას მეტრზე მოუმატა სიჩქარეს და ფინიშთან თითქმის მარტო მივიდა — 1.56.23. რაც ასეთი ფინალების ახალი რეკორდია.

### კერძო აზრი

# ეს ხომ ოლიმპიური პრინციპების შეურაცხყოფა იქნება

**ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას, სახელმწიფოთა შორის ატეხილი გააფთრებული ომებიც კი წყდებოდა ხოლმე. ეს თავისთავად მეტყველებს იმდროინდელ ხალხთა სპორტისადმი დიდ პატივისცემაზე. მაშინ ხომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ იმდროინდელი ცივილიზაციის ღირსეული წარმომადგენლები — ელინები, ტროელები, სპარტელები და სხვ. ამ სახელმწიფოებისათვის პრიორიტეტი იყო მაღალი შინაგანი კულტურა, ღირსების გრძნობა და სამართლიანობა, რაც კატეგორიულად უცხოა მონღოლურ გენზე აღმოცენებული, კაცთმოძულე რუსი იმპერიალისტებისათვის, რომლებიც დღევანდელი ცივილიზაციის ფონზე პირველი ოლიმპიური თამაშების პერიოდის ბარბაროსული ხალხების მენტალიტეტს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე XXI საუკუნის პროგრესულ ქვეყანას. ხაზს ვუსვამთ — ხალხების და არა სახელმწიფოების, რადგან მსოფლიოში უკანასკნელ იმპერიას — რუსეთს არავითარი კავშირი არა აქვს უნიტარული სახელმწიფოს ფენომენთან და იგი ვეებერთელა რუსული ეროვნული ქოლგის ქვეშ ძალით შერეკილი სხვადასხვა კულტურის მქონე ერების კონგლომერირებული წარმონაქმნია.**

სირცხვილი და სხვა ზნეობრივი ნორმები კიდევ დიდხანს დარჩება უცხო ხილად რუსეთის მმართველობისა და რუსი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის, რომელთა წაქეზებით ოსი სეპარატისტების უბადრუკმა ჯგუფმა სწორედ პეკინის ოლიმპიადის დაწყების დღეს გაუხსნა ცეცხლი ქართველ მშვიდობისმყოფელებს და მათთვის საკადრისი პასუხის გაცემისთანავე მიზანთროპმა და პოლიტიკურმა კაცუნამ სცადა კიდევ ერთხელ განეცხადებინა იმის თაობაზე, რომ ქართველებმა პატივი არ სცეს საყოველთაოდ მიღებულ ზოგადსაკაცობრიო ნორმებს და ოლიმპიადის გახსნის დღეს წამოიწყეს საბრძოლო მოქმედებები სამაჩაბლოში. გასდიოდათ რუსებს ამგვარი თავხედური სიცრუე წლების განმავლობაში და ამჯერადაც ეგონათ, რომ ამგვარი ამაზრზენი ნაყალბევით გაივლიდნენ ფონს, მაგრამ აშკარად ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, რადგან მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ რუსები სწორედ აგრესორები არიან და არა მშვიდობისმყოფელები, რომ მათ უკვე საკუთარ ტერიტორიებად მიაჩნიათ საქართველოსაგან მიტაცებული ძირძველი კუთხეები — აფხაზეთი და სამაჩაბლო და რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საქართველოს წინსვლას ნატოსაკენ, რისთვისაც ყველასაგან საძრახის ინსინუაციებზე წასვლასაც კი არ თაკილობენ.

საბჭოთა კავშირში (იგულისხმება — რუსეთიძ 1980 წელს დაგეგმილი ოლიმპიური თამაშები იმიტომ ჩაიშალა, რომ 1979 წლის დეკემბრის მიწურულს საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ავღანეთში, მოჰკლეს მისი კანონიერი ხელისუფალი ჰაფიზულა ამინი და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვიეს ლამის მთელი სამხრეთ აზია. მაგრამ მაშინ რუსები, სინდისის ქენჯნას სრულიადაც არ შეუწუხებია, დემოკრატიული ბანაკის სატელიტი, სინამდვილეში კი დამონებული ქვეყნების სპორტსმენები მოსკოვში მიიწვიეს და თავხედურად განაცხადეს, რომ „ოლიმპიური თამაშები შედგა“!

განა ოლიმპიური თამაშების პრინციპების შეურაცხყოფა არ არის 2014 წელს ოლიმპიური თამაშების ჩატარება რუსეთში, სადაც დღეს მყარადაა ფეხმოკიდებული ფაშიზმი, ნაციონალიზმი და იმპერიალისტური მენტალიტეტი, სადაც ხელისუფლების შეკვეთით თავხედურად უსპობენ სიცოცხლეს ჟურნალისტებს, დემოკრატიული შეხედულების მქონე პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს და სხვა უდანაშაულო ადამიანებს.

წარმოიდგინეთ, მსოფლიო საზოგადოებამ ოლიმპიური თამაშების ჩატარება რომ გადაწყვიტოს დაჰაუში, აუშვიცში, ოსვენციმში ან მასობრივი გენოციდის სხვა ადგილებში. ეს ხომ მსოფლიო საზოგადოებრიობის თავხედური გამოწვევა იქნებოდა. სწორედ მასობრივი გენოციდის ადგილი გახლავთ ქალაქ სოჭის მიმდებარე ტერიტორია „კრასნაია პოლიანა“, სადაც 1864 წელს, ადგილობრივ მოსახლეებს — უბიხებსა და რუსებს შორის გამართულ უთანასწორო ომში უბიხები თითქმის მთლიანად განადგურდნენ. ამას მოჰყვა მუჰაჯირობა და ცოცხლად დარჩენილთა გადასახლება თურქეთში. ასე რომ, სოჭში ოლიმპიური თამაშების ჩატარება უპირველესად უბიხი ხალხის ხსოვნის შეურაცხყოფა იქნება, რაც კიდევ ერთხელ წაახალისებს რუს აგრესორებს.

მაინც რაში სჭირდებათ რუსებს ოლიმპიური თამაშები? ალბათ იმიტომ, რომ მსოფლიოს დაავიწყონ, როგორ უკანონოდ აქვთ მითვისებული აფხაზეთი, სამაჩაბლო, დნესტრისპირეთი და სწორედ მათი ხელშეწყობით, წაქეზებითა და სამხედრო მხარდაჭერით ჩამოაჭრა სომხეთმა აზერბაიჯანს ისტორიული მხარე — მთიანი ყარაბაღი.

ნურას უკაცრავად!

ვერ ეღირსებიან რუსები ბინძური მიზნების განხორციელებას. ისინი უნდა შეეგუონ ერთ მთავარ აზრს — მათ ან მოლდოვისა და საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების დათმობა და მათი კანონიერი მფლობელებისათვის დაბრუნება მოუწევთ, ან ოლიმპიური თამაშების ჩაშლა.

როგორ ფიქრობთ, განა რუსეთი, რომელსაც იმპერიად ჩამოყალიბების დღიდან მონღოლური „სივრცეთმპყრობელობის“ დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს, არ დათმობს ოლიმპიურ თამაშებს იმის სანაცვლოდ, რომ საქართველო კვლავ დაიმონოს?

ფეხებზე ჰკიდიათ რუსებს ოლიმპიური თამაშები და სხვა ისტორიული სპორტულ-კულტურული ღირებულებები. მათთვის მთავარი ისაა, რომ მრავალ სახელმწიფოზე დაამყარონ პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი.

ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს როგორც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ასევე ევროკავშირმაც.

ეჭვი არ შეეპაროთ რუსებს, რომ, თუნდაც საბავშვო იარაღის გასროლის შემთხვევაში სოჭში სპორტსმენები აღარ ჩავლენ, ჩასულები კი ფაცხა-ფუცხით ჩაალაგებენ ჩემოდნებს და უკანმოუხედავად მოქუსლავენ თავიანთი ქვეყნებისკენ. ამ „საჩუქარს“ რომ რუსები ვიღაცისაგან, უფრო კონკრეტულად — ჩრდილოკავკასიელებისაგან, ბევრად უფრო კონკრეტულად კი — ჩეჩნებისაგან, უეჭველად მიიღებენ, ეჭვი ნუ შეეპარებათ. საქართველოს მსგავსად ჩეჩნეთში რუსი მოძალადეების მიერ დაღვრილი სისხლის ოკეანის აშრობას ხომ ათწლეულებიც კი არ ეყოფა.

ნამდვილად იმსახურებენ რუსები ამგვარ პროვოკაციას და მიიღებენ კიდეც. თუ სწრაფად არ დათმობენ საქართველოსაგან მიტაცებულ ტერიტორიებს და არ აღადგენენ იქ ისტორიულ სტატუს-კვოს.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა სამაჩაბლოში მოკალათებული რუსების მიერ წამოწყებულ პროვოკაციებს ქართველმა სამართალდამცავებმა საკადრისი პასუხი გასცეს, რუსეთის ავიაციამ, კონფლიქტურ რეგიონში წესრიგის აღდგენის მომიზეზებით ბარბაროსულად დაბომბა სამაჩაბლოდან რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით მდებარე დასახლებული პუნქტები ფოთში, მარნეულში, გორში, ვაზიანსა და ონის რაიონში. ამ გაუაზრებელი აგრესიით რუსეთმა კიდევ ერთხელ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ არ არსებობს არავითარი კონფლიქტი ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის. არსებობს პირწავარდნილი აგრესორი და სხვისი მიწების ბარბაროსულად მიმტაცებელი რუსეთი, რომელიც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის გამოყენებით ცდილობს საქართველოსაგან მიტაცებული მიწების დაპატრონებას. რუსები ვერ ამჩნევენ, ან არ სურთ დაინახონ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი მსოფლიო გაიზარდა მორალურად, სულიერად და პოლიტიკურად, ისინი კი ამ მხრივ მათ იდეალად ქცეული თავკაცების მსგავს კორუმპირებულ აგრესორებად არიან დარჩენილები.

მაგრამ მალე მოეღება ბოლო რუსების პარპაშს, მათ მიერ უდანაშაულო ხალხების სისხლისღვრას და მალე მას თავისი მოეკითხება! ნუთუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ოლიმპიური თამაშების რუსეთის ტერიტორიაზე ჩატარება გააკეთილშობილებს მათ შიგთავსს და მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას დაავიწყებს იმ უმსგავსობებს, რასაც ისინი ყოველთვის სჩადიოდნენ მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ.

თუ მართლა ასე ჰგონიათ, ძალიან შემცდარან!

**როლანდ ჯალაღანია**

### ინტერნეტიდან

## იქნებ ჩვენი ჯავრი იყარონ

**როგორც პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, სერიოზულ კონფლიქტში, საქართველო რომ ჩაეფლო, სინამდვილეში რუსეთი და აშშ არიან დაპირისპირებული. რაც ფაქტობრივად ჯერჯერობით საქართველოსთვის მაინც და მაინც სასარგებლოდ ვერ წყდება.**

სულ მალე, 25 სექტემბერს, ამ ორი ქვეყნის კიდევ ერთი დაპირისპირებაა მოსალოდნელი, მოსკოვში ხოდინსკის ველის ყინულის სასახლეში გაიმართება რუსეთ-აშშ სამატჩო შეხვედრა ხელჩართულ ბრძოლაში. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ამ ქვეყნების უძლიერესი ათლეტები — რუსეთიდან იური კრუგლოვი, რენატ ბულიკინი, გენადი ზუევი, ამერიკის მხრიდან კი ჯორჯ რანდოლფი, პანკრატიონში მსოფლიო ჩემპიონი, 14-გზის ამერიკის ჩემპიონი ჯონ ფრაენდლენდი.



ხელჩართული ბრძოლის საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებულნი არიან აშშ, რუსეთი, ყაზახეთი, კანადა, ნორვეგია, უზბეკეთი, ლატვია, მექსიკა და ჩეხეთი. ეს ბრძოლა ძალზე წააგავს ბრძოლას წესების გარეშე. თუმცა აქ აკრძალულია თავით, იდაყვით, მუხლით, აგრეთვე ფეხებში დარტყმა.

როგორც თავად რუსები აღიარებენ, ამერიკელებს ძალზე ძლიერი გუნდი ჰყავთ. იქნებ პოლიტიკოსებმა თუ არა, მათ მაინც ჩვენი ჯავრი ამოიყარონ.

## რეკორდებს დირიჟაბლითაც ამყარებენ



**ფრენის სიშორეზე მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად პარასკევს ქალაქ კირჟაჩიდან აფრინდა რუსული დირიჟაბლი AV-30, ის ორშაბათს დაბრუნდა უკან, დაამყარა რა ორი მსოფლიო რეკორდი. აპარატის ფრენას უძღვებოდა პროექტის „რეკორდების რუსული ფაბრიკა“ ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ლეონიდ ტიუხტიევი.**

დირიჟაბლის მარშრუტი იყო კირჟაჩი (ვლადიმირის ოლქიძ — ველიკი ნოვგოროდი — სანქტ-პეტერბურგი — კირჟაჩი. პირველი რეკორდი უკვე ველიკი ნოვგოროდში აღინიშნა — ფრენის სიგრძე 377,7 კმ. შემდეგ კი სანქტ-პეტერბურგიდან ძირდაუშვებლად კირჟაჩამდე — 626 კმ.

ადრინდელი მსოფლიო რეკორდი დირიჟაბლით — 374,7 კმ — 1990 წლიდან ეკუთვნოდა ამერიკულ ეკიპაჟს ბრიტანული დირიჟაბლით GA-42.

## უხამსი წინადადება?

**ბრიტანელ მოდელსა და მსახიობს კელი ბრუკს მგზნებარე რომანი აქვს რაგბიში ინგლისის ნაკრების მოთამაშესთან დენი ჩიპრიანთან.**

ამ დღეებში ისინი პაპარაცებმა გამოიჭირეს ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში. რაგბისტი ძალზე თავხედურად იქცეოდა, თითქოს მინდორზე ყოფილიყო: „მოდი, ვიპ-კაბინაში შევიდეთ და შემდეგ ისევ უკან დავბრუნდეთ!“ — შესთავაზა რაგბისტმა კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავს.



„დენის უნდოდა ქალიშვილის აღგზნება, მაგრამ მან უარი უთხრა, — წერს გაზეთი The Sun, — თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. დენის ნამდვილად უყვარს კელი და მასთან ურთიერთობის განმტკიცება უნდა“. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

№ 174. ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 2008 წელი.

SIC!

# ომის დაწყების დროს კეზერაშვილი „თვითდათხოვნაში“ იყო, ჯარისკაცებს კი ამისთვის ასამართლებენ

**ცხინვალის რეგიონში რუსი აგრესორების შემოჭრისა და ჩვენი სამხედრო სარდლობის უნიათობის შედეგად წაგებული ბრძოლების შემდეგ ბევრ სამხედრო მოსამსახურეზე (განსაკუთრებით რიგით ჯარისკაცებზეძ ალიძრა სისხლის სამართლის საქმე სამხედრო სამსახურის თვითნებურად მიტოვების მუხლით.**

სამართლის ძიების უპერსპექტივობით იმედგაცრუებულებმა დახმარებისთვის ასოციაცია „სამართალსა და თავისუფლებას“ მიაკითხეს. მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. როგორც ასოციაციაში აცხადებენ, მათ არა აქვთ არც ერთი ფაქტი ჯარისკაცების მხრიდან საომარი მოქმედებების დროს პოზიციების მიტოვებისა.

როდესაც უმაღლესმა მთავარსარდალმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, სამხედრო დანაყოფების უშუალო მეთაურებმა უბრძანეს მათ დაქვემდებარებაში მყოფთ იარაღი ჩაებარებინათ, რის შემდეგაც ზოგი ნაწილი ახალი თუ ძველი დისლოკაციის ადგილზე დააბანაკეს, ზოგს კი სახლში წასვლის ნებართვა დართეს. მაგრამ ყველამ ვერ შესძლო დისლოკაციის ადგილების მიგნება, მიზეზი ამისა ის იყო, რომ ცეცხლის შეწყვეტის ბრძანების მიღების შემდეგ, ჩვენმა ჯარმა არაორგანიზებულად დაიწყო საბრძოლო მოქმედების ადგილებიდან გასვლა. სარდლობა და მეთაურები დაბნეულები იყვნენ. მიმოფანტული ჯარისკაცები, რომელთაც იარაღიც არ ჰქონდათ, ინდივიდუალურად და ჯგუფ-ჯგუფად იხევდნენ უკან. ამ დროს კი ჩრდილოეთიდან შემოსული სისხლისმსმელები ჩვენ სამხედრო ფორმიანებზე ნადირობდნენ. თუ ვინმეს წააწყდებოდნენ, ადგილზე ხვრეტდნენ. მხოლო უმნიშვნელო რაოდენობა მიჰყავდათ ტყვედ. ამ შემთხვევაში ჩვენს ჯარისკაცებს უწევდათ ფეხით ათეულობით კილომეტრის გავლა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გორისა და სენაკის გზები ოკუპანტების მიერ უკვე ბლოკირებული იყო, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებით უხდებოდათ მათ არა კანონისაგან დამალვა, არამედ შექმნილი ვითარებისთვის თავის არიდება. სწორედ ამ ხალხზე, უთანასწორო ბრძოლაში სასწაულად გადარჩენილებზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გარდაცვლილებსა და უგზოუკვლოდ დაკარგულებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

როდესაც მდგომარეობა შედარებით დაწყნარდა, სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურებს მისცეს ბრძანება, დაეწყოთ თავიანთი შენაერთების აღრიცხვა. და ზემდგომი ინსტანციებისთვის წარედგინათ ყოველმხრივი მონაცემები. გადათვლა მარტივად მოხდა – ვინც აღრიცხვის დროს ადგილზე არ იყო, მას დეზერტირობა ჩაუთვალეს. მეთაურებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ ბევრი მათგანი პირადად უფროსების ბრძანებით იყო სახლებში გაშვებული. მეთაურები, რომლებიც ხვდებოდნენ თავიანთ უსუსურობას, მომავალში მათთვის პასუხის მოთხოვნის შიშით ადგილზე არმყოფ ყველა ჯარისკაცს დეზერტირად აცხადებდნენ. სამხედრო ექსპერტთა მონაცემებით, დეზერტირთა სიაში შეჰყავდათ დაღუპულები, ტყვედ ჩავარდნილები, უგზოუკვლოდ დაკარგულები. სამხედრო ხელმძღვანელობას ქვეშევრდომებზე არ გააჩნდა ელემენტარული ინფორმაციები. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ თავიანთი ბრალეულობის გადასაფარავად სამხედრო ხელმძღვანელები შეგნებულად ამცირებენ გარდაცვლილთა რაოდენობას. ამის მიზეზი იყო ის, რომ პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ დაღუპულ ჯარისკაცთა მიზერული რაოდენობა დაასახელა.



### მინისტრი მზეს და ზღვას ვერ შეელია

როდესაც სამხედრო მოსამსახურე უნებართვოდ, 48 საათის განმავლობაში დატოვებს სამხედრო ნაწილს, ქართული კანონმდებლობით იგი თვითდათხოვნის მუხლით ისჯება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ „სამოვოლკაში“ წასულს არ სურს აღნიშნულ სამხედრო ნაწილში ყოფნა, მის წინაშე დასახული საბრძოლო დავალების შესრულება. ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ წარმომადგენლები თვლიან, რომ ასეთები ცოტანი იყვნენ. ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ისინი კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონ. რაც შეეხება ფაქტს, რომ დეზერტირი უწოდო იმ სამხედროს, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისთვის თავს სწირავს, – ეს უზნეობაა.

თუ ხელისუფლება „სამოვოლშიკებსა“ და დეზერტირებს ეძებს, ამგვარნი უნდა მოიკითხონ თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს ეშელონებში. როდესაც ქართული ჯარი ცხინვალს მიადგა, პრეზიდენტის მიერ ერთ-ერთი გერმანული გამოცემისთვის მიცემული ინტერვიუს მიხედვით, მინისტრი კეზერაშვილი აქ არ იმყოფებოდა. სააკაშვილის განცხადებით, იგი ევროპის ერთ-ერთ კუნძულზე ატარებდა შვებულებას. მხედართმთავრის მიერ უცხოელი ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუს მიხედვით კეზერაშვილი მაშინაც არ ბრუნდებოდა სამშობლოში, როდესაც ქართულ სამხედრო ნაწილებს რუსები ათასამდე ტანკით უტევდნენ და მათ ნაწილებს ავიაცია ბომბავდა. „მინისტრი დაბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ტელეფონში ყვირილი დავიწყე და მისი დაუყოვნებლივ ჩამოსვლა მოვითხოვე“, – ამბობს ქვეყნის პირველი პირი. ამის შემდეგ სარდლობას, ხელისუფლებას აქვს მორალური უფლება გაასამართლოს ახალგაზრდები, რომლებიც ვაიხელმძღვანელობამ მიატოვა და საკუთარი ტყავის გადასარჩენად ხელები მათ შეაწმინდა?

ომგადახდილი ბიჭების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემით და დაპატიმრებით სიმართლე არ გაირკვევა. საჭიროა თითოეულ დეზერტირთან ინდივიდუალური საუბარი, დისლოკაციის ადგილებზე მათი დროულად ვერ (ან არძ დაბრუნების მიზეზების გარკვევა, – აცხადებენ „სამართალი და თავისუფლების“ ასოციაციაში და იქვე ამატებენ, რომ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მოტყუებით, შეშინებით აწერინებენ „დეზერტირ“ ჯარისკაცებს ხელს ახსნა-განმარტებებზე, რომელშიც ნათქვამია, რომ საომარი მოქმედებების დროს იყვნენ თვითდათხოვნაში. არავინ ცდილობს ჩაუღრმავდეს ჯარისკაცთა ზეპირ ჩვენებებს იმის თაობაზე, რომ ვიღაცებმა, ზემდგომებმა გასცეს ბრძანება დისლოკაციის ადგილის დატოვებისა.

პირველ შემთხვევაში დეზერტირობის ბრალდებით ჯარისკაცებს გაასამართლებენ. თუ მათ ჩვენებებს გულისყურით მიუდგებიან, მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემა მოუწევთ. როგორც ჩანს, ბოლო ვარიანტი ხელისუფლებას ხელს არ აძლევს.

**ზაზა ბილიხოძე**

---

**ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, თემურ ღოღობერიძე, თემურ ბერიშვილი, ვახტანგ თოდუა, ვახტანგ ამაშუკელი, პავლე გიორგობიანი, რეზო სახოკია, კოტე ამაშუკელი, დავით ჯიქია, ნანა შარაშენიძე, გენო შეროზია, იულონ სამადალაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ქეთინო რუხაიას სიძის და ბატონ ფრიდონ ინჯიას ქვისლის, შესანიშნავი პიროვნების**

**გოჩა ქობლიანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ დირექტორატი და ყველა თანამშრომელი თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ქეთინო რუხაიას სიძის და ბატონ ფრიდონ ინჯიას ქვისლის, შესანიშნავი პიროვნების**

**გოჩა ქობლიანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ დირექტორატი და ყველა თანამშრომელი თანაგრძნობას უცხადებენ ხათუნა და ილია ინჯიებს ბიძის, შესანიშნავი პიროვნების**

**გოჩა ქობლიანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მარიკა ლორთქიფანიძე, ნუგეშა მაყაშვილი, ირა ასათიანი, ოთარ ჯაფარიძე იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი**

**ჟუჟუნა ლეჟავა**

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**ლიანა ლაშხი, გურამ გაბუნია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ოჯახის უახლოესი ნათესავი და მეგობარი**

**ოთარ აბდუშელიშვილი**

**და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ჯიმი მიქელაძე, გივი გადელია, ოთარ ქვილითაია, გურამ გაბუნია, ავთანდილ საყვარელიძე, ირაკლი ჟორდანია, კახი კავსაძე, გურამ ფერაძე, თამაზ ცინცაძე, თამაზ შილაკაძე, ომარ მხეიძე, დამირ მანჯგალაძე, ბუჭუ ბერიძე, ნუგზარ რუხაძე, მურთაზ მიქელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული მამულიშვილის, შესანიშნავი მოქალაქის, უერთგულესი მეგობრის, განსაკუთრებული პირადული ხიბლის, კაცური კაცის**

**ოთარ კონსტანტინეს ძე აბდუშელიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ბატონ ბიჭიკო აბდუშელიშვილს მამის, ღირსეული მამულიშვილის**

**ოთარ აბდუშელიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნუგზარ ქავთარაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება**

**ოთარ აბდუშელიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ლევან მიროტაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პიროვნების**

**ოთარ აბდუშელიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მანანა და ბიჭი აბდუშელიშვილებს უსაყვარლესი მამის გარდაცვალების გამო.**

---

**ნინიკო და სოსო კუხიანიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსშესანიშნავი მამულიშვილი, ჭეშმარიტი თბილისელი, ჭირსა და ლხინში ყველა ახლობელთან გვერდით მდგომი, საუკეთესო ქართული ტრადიციების პირუთვნელი გამტარებელი**

**ოთარ აბდუშელიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**გივი და ოთარ აბდუშელიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახლო ნათესავი**

**ოთარ კონსტანტინეს ძე აბდუშელიშვილი**

---


## შპს „ოქროს საწმისისა“ და ქ.ბ.ა.ს. ფონდის სარეაბილიტაციო კომისია აცხადებს აუქციონს სარეაბილიტაციო მასაში შესულ უძრავ ქონებათა რეალიზაციის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აუქციონი გაიმართება 2008 წლის 4 ოქტომბერს 14 საათზე. მისამართი: ქუთაისი, ტაბიძე-გრიშაშვილის ქ.№ 1/23, II სართული. შპს „ოქროს საწმისის“ ოფისში.**

**ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ:**

1. ქ.ქუთაისი, ზ.გამსახურდიას გამზირი № 27/73 (ყოფ.რუსთაველის ქუჩაძ მდებარე საცხოვრებელი ფართი 45.61 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი – 75000 ლარი.

2. ქ.ქუთაისი, ავტომშენებლის ქ.№ 31 მდებარე არასაცხოვრებელი ფართი 63.33 კვ.მ. საწყისი გასაყიდი ფასი – 40000 ლარი.

3. ქ.ქუთაისი, დუმბაძე-გრიშაშვილის № 1/35 მდებარე შენობა-ნაგებობა, არასაცხოვრებელი ფართი – 1485.20 კვმ. საწყისი გასაყიდი ფასი – 2 376 320 ლარი (ყოფ.ნინოშვილის უნივერმაღიძ. **„ბიჯის“ ოდენობა – საწყისი გასაყიდი ფასის 10 პროცენტი.**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე 14 კალენდარული დღის განმავლობაში 12 სთ-დან 16 სთ-მდე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაწილეზე ქონების დასახელებას, საწყის ფასს იმ ქონებაზე, რომლის შეძენაც სურს.

2. პირადობის დამამტკიცებელი მოწმობის ასლი.

3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისძ გადახდა.

**თანხის გადახის ვადები:**

მყიდველი ვალდებულია, აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული უძრავი ქონებათა საბოლოო ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე.

უძრავი ქონების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია – ქ.ქუთაისი, ტაბიძე-გრიშაშვილის ქ.№ 1/23-ის II სართულზე, შპს „ოქროს საწმისის“ ოფისი. ტელ: (8231ძ 4-48-02; მობ. 855 68-11-98.

**შპს „ოქროს საწმისის“ და ქ.ბ.ა.ს. ფონდის რეაბილიტაციის მმართველი**

## ინფორმაცია

### განხეთქილება სომხეთის პოლიტწრეებში

**სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ტიგრან ტოროსიანმა განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებს, – იუწყება რადიო „თავისუფლება“.**

ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ტოროსიანმა აღნიშნა, რომ ტოვებს მმართველ „რესპუბლიკურ პარტიასაც“, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი უდგას სათავეში.

საკუთარი გადაწყვეტილება ტოროსიანმა იმ უთანხმოებებით ახსნა, რაც ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში არსებობს.

ტიგრან ტოროსიანი პარლამენტის სპიკერის პოსტს 2006 წლის ივნისიდან იკავებდა. იგი იყო „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარის მოადგილეც.

**ინტერპრესნიუსი**

## ვულოცავთ!



**ცნობილ ქართველ ფალავანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტს, „ოქროს კამათლების“ მფლობელს, უკეთილშობილეს ვაჟკაცსა და ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს თემურ ქურციკიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს.**

*„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია*

**რეკლამა** *კოსტავას 12*

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899

## გვეხმაურებიან

# მესამედ განმარტება საჭირო გახდება?

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 2006 წლის 26-ე ნომერში ერთმა პატივცემულმა პოლიტოლოგმა ი. სტალინს იაპონიის ელჩი გააცილებინა რკინიგზის სადგურში, სხვა პატივცემული პოლიტოლოგი უფრო შორს წავიდა – წლეულს, 10 სექტემბრის ნომერში („რატომ არ გააცილა აეროპორტში საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტი“ძ ი. სტალინს არა მარტო იაპონიის პრემიერი გააცილებინა რკინიგზის სადგურზე, არამედ ეს ფაქტი ახსნა იმით, რომ პრემიერი დაითანხმა მეორე ფრონტი არ გაეხსნა.**

პირველი უზუსტობა გავასწორეთ იმავე 2006 წელს, ახლანდელ უზუსტობასთან დაკავშირებით განვუმარტავთ მკითხველს, რომ არავითარ მეორე ფრონტზე საუბარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან გაცილება, რაც უდავოდ საყურადღებო ფაქტია, მოხდა 1941 წლის 13 აპრილს, ე. ი. 2 თვითა და 2 დღით ადრე, ვიდრე ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხმებოდა.

რაც შეეხება სტუმარს, იაპონიიდან, იგი გახლდათ არა პრემიერი, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა.

უნდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ისტორიას შემორჩენილ ი. სტალინის ამ დიპლომატიურ ნაბიჯთან დაკავშირებით მესამედ განმარტება არ დაგვჭირდება.

**გიორგი მახარაძე**

## განცხადება

**2008 წლის 8 ოქტომბერს 16 საათზე, ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. 22-ში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „პირიმზეს“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.**

**სს „პირიმზეს“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2008 წლის 8 სექტემბერი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის ფინანსური ანგარიშის შეფასება-დამტკიცების შესახებ;
2. 2008 წლის 9 თვის შედეგების შესახებ;
3. შენობის მიმდინარე რეკონსტრუქციის მდგომარეობის შესახებ;
4. 2007 წლის 30 ნოემბრის საერთო კრებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების და შეფასების შესახებ;
5. წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ;
6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.
7. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან სს „პირიმზის“ აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2008 წლის 8 სექტემბრის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ კრებამდე 10 დღის განმავლობაში სს „პირიმზის“ რეგისტრატორთან შპს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, 22-53-51.

## ხსოვნა

# გოჩა ფარცვანია

## უბედური შემთხვევა



2008 წლის 14 სექტემბერს ქ. აბაშის სიახლოვეს ავტოკატასტროფაში დაიღუპა გოჩა სევერიანის ძე ფარცვანია.

გ. ფარცვანია დაიბადა 1969 წელს ქ. სოხუმში. აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მიზეზების გამო ოჯახი დევნილობაში საცხოვრებლად გადმოდის სენაკის რაიონში – მენჯში. შემდეგ ბატონი გოჩა ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად ქ. თბილისში დამკვიდრა.

გ. ფარცვანიას დამთავრებული ჰქონდა სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. იგი სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დეპარტამენტის არაპირდაპირი გადასახადების სამმართველოს ინსპექტორი.

გოჩა ფარცვანია იმ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებსაც თანდაყოლილი კაცურ თვისებათა ჰარმონია ამშვენებდა. იგი იყო დიდებული ვაჟკაცი, ტანადი, მომხიბვლელი მამაკაცური შესახედაობით შემკული პიროვნება. მას ოჯახშიც და საზოგადოებაშიც ქცევის ნორმების ეტალონად აღიარებდნენ. ერთი სიტყვით, ბუნებამ მას ფიზიკური და სულიერი სილამაზე და სიმშვენიერე თანაბრად უბოძა.

გოჩას მეუღლე – ქალბატონი ირინა ჯღამაძე-ფარცვანია საყვარელი და უძვირფასესი მანდილოსანია, მათ შექმნეს უტკბილესი ოჯახი, ეყოლათ და აღზარდეს ქალ-ვაჟი – ლანა და ლადო. ისინი დღეს სტუდენტები არიან.

გოჩა იყო დედისათვის უსაყვარლესი შვილი, მეუღლისათვის – ძვირფასი მეუღლე, შვილებისათვის – უსაყვარლესი მამა, დებისათვის – საფიცარი და საოცნებო ძმა.

რაოდენ დასანანია, რომ ასეთი გამორჩეული ვაჟკაცი სამუდამოდ ეთხოვება თავის სათაყვანო ოჯახს და ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს.

უბედურმა შემთხვევამ კიდევ ერთი უკეთილშობილესი ვაჟკაცი დააკლო სამშობლოს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო გოჩა.

**დამწუხრებული ოჯახი**

პანაშვიდი 17, 18, 19 IX, 17 სთ. გამოსვენება 20 IX,15 სთ. მისამართი: გურამიშვილის გამზირი №30, I კორპ. ბინა №9.

## გახსენება

# ალექსანდრე კანკავა

**საქმე საწყაოა დროსი და ხანისა**

*ჰიპელი*

ის კაცი იყო ვით შეჰფერის კაცსა კაცობა, წერდა მის შესახებ ერთი ცნობილი ქართველი ჟურნალისტი. ეს პიროვნება გახლდათ სენაკის რაიონის მკვიდრი, გამოჩენილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული აგრონომი, ათეული წლების განმავლობაში მისი უშუალო ინიციატივით დაარსებული ხორშის ეთერზეთოვან კულტურათა მეურნეობა-ქარხნის დირექტორი ალექსანდრე კანკავა.



ბატონ ალექსანდრე კანკავას დღეს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდებოდა, იგი გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, ადამიანის მიმართ საოცარი გულისხმიერებით, სითბოთი, სიკეთით, ახასიათებდა პიროვნული თვისებები – შინაგანი კეთილშობილება, ქართული სიდარბაისლე, სულიერი სისპეტაკე, იყო უნიჭიერესი ორგანიზატორი, ჰქონდა საზოგადო მოღვაწეობის სიბრძნე, ხელმძღვანელობის იშვიათი უნარი. ორგანიზაციული პრობლემების გაჭრის უტყუარი ალღო, სიკეთით სავსე გული, ფენომენალური მეხსიერება, რამაც მას დამსახურებულად მოუხვეჭა მაღალი და მყარი ავტორიტეტი.

მისი მოღვაწეობა იყო ბრძოლა დარგის განახლებისთვის, მათი გაკეთილშობილებისთვის.

ბუნებით უწყინარ კაცს ჰქონდა უნარი ხასიათი შეეწყო ნებისმიერი ასაკისა და რანგის ადამიანებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ალექსანდრე მეგობრობის ფენომენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით განიხილავდა. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ერის მთლიანობისთვის აუცილებელია თაობათა შინაგანი მთლიანობა. მარტივად და პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მეგობრობა ასაკით არ უნდა შემოიფარგლოს და შეიზღუდოს.

ალექსანდრე კანკავა ამას რეალურად აკეთებდა.

მის ცხოვრებისეულ გზას, რომელიც დიდხანს გაჰყვება ნიშანსვეტად მათ, ვისაც ბატონ ალექსანდრესთან სიახლოვე გვარგუნა ბედმა, მხოლოდ ერთი განსაზღვრება შეიძლება მოეძებნოს – ეს არის კვალი ნათელი კაცისა...

მეგობრების სახელით:
**კალისტრატე შარტავა,**
**ალექსანდრე აბშილავა,**
**რევაზ ფაჩულია.**

„EMAC GEORGIA LIMITED“-ის დირექტორთა საბჭოს 2008 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით დახურულად გამოცხადდეს „EMAC GEORGIA LIMITED“-ის ფილიალი საქართველოში (ს/კ 204519850ძ. ვასილ სულხანიშვილს, ფილიალის დირექტორს მიენიჭოს უფლებამოსილება აწარმოოს ფილიალის ფორმალური ლიკვიდაცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ფილიალის ყველა კრედიტორმა მოგვმართოს მისამართზე: რუსთაველის №34, ტელეფონი: 98-23-83“.

დირექტორი
ვასილ სულხანიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.